ყოველდღიური ბულვარული, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№88 (983) 22 - 23 სექტემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

13 წლის ბიჭმა ძმის მკვლელი სასამართლო დარბაზში ხანჯლით დაჭრა

გვ. 8

პაციმრის დღიური

რატომ დაუჭირა მხარი ლუდის მწარმოებელმა გოგი თოფაძეს ქუჩაში ლუდის სმის აკრძალვას

ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ქუჩაში ლუდის დალევისთვის ადამიანების დაჯარიმება ქართველი მელუდეებიის ინტერესში შედის, მით უმეტეს, რომ ლუდის მოყვარულები სამამულო ლუდს, რომელიც ხშირად დასპირტულის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაღალი ხარისხის იმპორტურებულს ამჯობინებენ.

გვ. 6

დიდი ცემა-ტყეპა ბორჯომის საკრებულოში

გვ. 3

რით დაუზიანეს თვალი გედევან ფოფხაძის ძმას, ვინ ცდილობს ღეიბორისტი გიუაშვილის „დაჩმორებას“ და რატომ ფიგურირებს სერიულ ჩხუბში 10 ათასი ლარი

ექსკლუზიური დეტალები

მარგველაშვილისგან ოპოზიციას თავად „ოცნება“ ქმნის?

გვ. 5

რეალურად გეგმავენ თუ არა ნაციონალები სამხედრო გადატრიალებას, რა იმპერატიული უფლებები აქვს პრეზიდენტს, რა — პრემიერს

გვ. 7

გიორგი კვირიკაშვილმა თურქულ „ტავს“ სააკაშვილისდროინდელი ხელშეკრულების პირობები შეუცვალა

„დიდი გამყინვარების“ პერიოდში ვართ... მთავრობას აფხაზეთი არ აინტერესებს!“

გვ. 4

პაატა დავითაია ბურჯანაძესა და ნაციონალებთან სალაპარაკოდ მზად არის

საინგილოში ახალშობილებისთვის ქართული სახელების დარქმევა აკრძალულია!

საქართველოს მორიგი წარმატება ევროპაში

ღუდმა „ნაფახტარი“ ევროპაში აღიარებული ხარისხი და ოქროს მედალი მოიპოვა

გვ. 7

საქართველოს მთავრობის მეთაური, მეუღლესთან ერთად, ნიუ იორკში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 26 სექტემბერს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე სიტყვით გამოვა. მთავრობის მეთაური, მეუღლესთან ერთად, ნიუ იორკში უკვე გაემგზავრა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით გამოვა გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე — „მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის შესრულების საკითხებზე“, ასევე, დაესწრება თურქეთის პრეზიდენტის სახელით გამართულ მიღებას.

ირაკლი ღარიბაშვილი, მეუღლესთან ერთად, ასევე მიწვეულია პრეზიდენტ კლინტონისა და მისი მეუღლის სახელით გამართულ მიღებაზე. 23 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი პირისპირ შეხვდება ლატვიის პრეზიდენტ ანდრის ბერჟინსს, ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს და თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანს, სიტყვით გამოვა კლიმატის სამიტზე, დაესწრება კლინტონის გლობალური ინიციატივის პლენარულ სესიას — Cities as Labs of Innovation/ Remarks by President Obama „Stand with Civil Society Agenda“ და MoMa-ს მუზეუმში ქართული ფილმების პირველ რეტროსპექტიულ ჩვენებას გახსნის. დღის ბოლოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მეუღლესთან ერთად მიწვეულია აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და მიშელ ობამას მიღებაზე, რომელიც გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის მონაწილე დელეგაციების მეთაურებისა და მათი მეუღლეების პატივსაცემად იმართება.

24 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი, გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის გახსნასთან დაკავშირებით, გენერალური მდივნის მიერ გამართულ მიღებას და სესიის გენერალური დებატების გახსნას დაესწრება. დაგეგმილია პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა საერთაშორისო ეკონომიკური ალიანსის (IEA) მიერ ორგანიზებულ მეშვიდე ყოველწლიურ გლობალურ საინვესტიციო სიმპოზიუმზე — Invest in Georgia და კონფერენციაზე — ღია მმართველობის პარტნიორობა. დღის ბოლოს ირაკლი ღარიბაშვილი მიწვეულია ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის სახელით და არაბთა გაერთიანებული საამიროების საგარეო საქმეთა მინისტრის, შეიხ აბდულა ბინ ზაედ ალ ნაჰიანის მიერ გაერო-ს გენერალური მდივნის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე.

25 სექტემბერს საქართველოს მთავრობის მეთაური ნიუიორკში გვირგვინით შეამკობს 11 სექტემბრის ტერაქტისას დაღუპულთა მემორიალს. დაგეგმილია ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, პრინც საუდ ალ ფაიზალთან, ევროპის საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპუისთან, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰასსან რუანისთან, კანადის პრემიერ-მინისტრ სტივენ ჰარპერთან, კომპანია AECOM-ის წარმომადგენლებთან. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ასევე დაესწრება ოფიციალურ სადილს, რომელიც უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს სახელით გაიმართება.

„ინტერპრესნიუსი“

პატრიარქმა და მრევლმა ღვთისმშობლისადმი ერთობლივად ილოცეს

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და მრევლმა ღვითისმშობლისადმი ერთობლივი ლოცვა დაჩოქილებმა აღავლინეს.

„მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთაისაი. ამინ!“, — ღვთისმშობლისადმი ეს ლოცვა მრევლმა პატრიარქთან ერთად სამჯერ წარმოთქვა.

უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში ლოცვის შესრულებამდე ბრძანა, რომ განსაკუთრებულია, როცა მთელი ქართველი ერი ერთად აღავლენს ლოცვებს საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

საავადმყოფოდან გაქცეული პატიმარი დაკავებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გაქცეული პატიმარი ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში დააკავეს.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით კი, გეგუთის №14 სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულმა რუსლან გენოს ძე სოსელიამ, რომელიც მკურნალობის მიზნით გადაყვანილი იყო ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში, დღეს, გამთენიისას მოახერხა საავადმყოფოს ტერიტორიიდან გაქცევა. წინასწარი ინფორმაციით, მსჯავრდებული საავადმყოფოს მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა.

მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს 2009 წლიდან იხდის, ქრონიკული ავადმყოფია, რის გამოც პერიოდულად გადაჰყავდათ ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც მას მკურნალობის შესაბამისი კურსი უტარდებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

ბათუმი სტიქიის ზონად გამოცხადდა

ორდღიანი გადაუღებელი წვიმის გამო დატბორილია ქალაქის თითქმის ყველა ნაწილი. შეზღუდულია ავტომობილების და ფეხითმოსიარულეთა გადაადგილება, რის გამოც ყველა სამსახური საგანგებო რეჟიმში მუშაობს.

ბათუმის მერის გიორგი ერმაკოვის განცხადებით, შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. შტაბთან ერთად მობილიზებულია შესაბამისი სამსახურების სპეციალური ტექნიკა, რომელიც ზღვაში გამავალი სანიაღვრე არხების გაწმენდას ცდილობს.

ერმაკოვის განცხადებით, ამ ეტაპზე სტიქიით გამოწვეული ოდენობა უცნობია და მასზე სპეციალური კომისია მუშაობს.

„ინტერპრესნიუსი“

მიხეილ ხოდორკოვსკი რუსეთის პრეზიდენტობას აპირებს

პატიმრობიდან გათავისუფლებულ კომპანია „იუკოსის“ ყოფილ ხელმძღვანელს მიხეილ ხოდორკოვსკის საპრეზიდენტო ამბიციები აქვს.

ხოდორკოვსკის განცხადებით, სურს სახელმწიფოს კრიზისის დასაძლევად უხელმძღვანელოს. მისივე თქმით, ადრე რუსეთის პრეზიდენტობით არ იყო დაინტერესებული, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ახლა ვითარება შეიცვალა. თავს რუსეთის მომავალ პრეზიდენტად ხედავს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმა და სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გადანაწილება მოხდება.

მიხეილ ხოდორკოვსკიმ ათ წელზე მეტი პატიმრობაში გაატარა. მას ბრალად თაღლითობა ედებოდა. ის რუსეთის პრეზიდენტმა 2013 წლის დეკემბერში გაათავისუფლა.

ხოდორკოვსკი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და დონბასის მოვლენებში რუსეთის მონაწილეობას აპროტესტებს.

„ინტერპრესნიუსი“

უსახლკარო მოხუცი დახმარებას ითხოვს

წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმათში მცხოვრები ჟენია ჯიშკარიანი, რომელსაც 4 შვილი და მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს, 20 წელზე მეტია, 4 კვ.მ რკინის ვაგონში ცხოვრობს. სოციალურად დაუცველი ქალბატონი აცხადებს, რომ ათეული წლების წინ საცხოვრებელი სახლი დაეწვა, იმის შემდეგ კი ბინა ვაგონში დაიდო.

რკინის კონსტრუქციის ამორტიზირებულ ფარდულში მცხოვრებ მოხუცს სოციალური დახმარება, როგორც თავად აცხადებს, რამდენიმე თვის წინ, მისთვის უცნობი მიზეზით მოუხსნეს, რის გამოც მას საკვებსა და მედიკამენტებში ყოველთვიური პენსია აღარ ჰყოფნის.

სოფლის უხუცესი ქალბატონი ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებას და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას სთხოვს.

წყალტუბოს გამგეობაში აცხადებენ, რომ აღნიშნული პიროვნების პრობლემის შესახებ ინფორმირებულები არიან და მას დრო და დრო ეხმარებიან. როგორც გამგეობაში „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს განუცხადეს, მსგავსი უსახლკარო წყალტუბოს რაიონის მასშტაბით 25 ოჯახია, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება ეტაპობრივად დაეხმარება.

„პია.გე“

ტაფტის უნივერსიტეტმა სააკაშვილს ლექტორობაზე უარი უთხრა

„ნიუ იორკ თაიმსი“ წერს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა, ტაფტის უნივერსიტეტში ლექტორობას აპირებდა, თუმცა უნივერსიტეტმა მასთან ურთიერთობა დაასრულა.

„ბატონი სააკაშვილის თქმით, ის მოელოდა „უფროსი სახელმწიფო ფიგურის“ სტატუსით ტაფტის უნივერსიტეტში ლექტორობის გაგრძელებას, მაგრამ მაისში უნივერსიტეტმა განცხადა, რომ მათი ურთიერთობა დასრულდა. სააკაშვილი ამბობს, რომ არ უცდია მუშაობის დაწყება მშობლიურ სასწავლებელში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, თუმცა, ერთ-ერთი პროფესორის ინფორმაციით, სააკაშვილთან დაახლოებულმა პირებმა იურიდიულ სკოლაში მისთვის სამუშაოს პოვნის შესაძლებლობა მოსინჯეს“, — აღნიშნავს გამოცემა.

„პია.გე“

სუბარის თქმით, ფოთში მოშიმშილე დევნილები დესტაბილიზაციის ფონის შექმნას ცდილობენ

დევნილთა და განსახლების მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, ფოთში მოშიმშილე დევნილებს არაერთხელ შეხვდნენ მისი მოადგილეები და აუხსნეს, რომ მათი ბინებით დაკმაყოფილება ეტაპობრივად მოხდება.

„ამ ადამიანებს აქვთ იმდენი ქულა, რაც არ არის დამაკმაყოფილებელი ამ ეტაპზე ბინების გასაცემად. მათ შორის არიან 5-ქულიანებიც. იყო გაუგებრობა ქალბატონ აბურჯანიასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე დავაკმაყოფილეთ ბინით. სხვა დანარჩენი დევნილები, ვინც შიშილობს, ეტაპობრივად დაკმაყოფილდებიან“, — აცხადებს სუბარი.

დევნილთა და განსახლების მინისტრის განმარტებით, დევნილების უკან კონტკრეტული ძალა, ნაციონალური მოძრაობა დგას, რომელიც რადიკალური ფორმით ცდილობს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას, თუმცა მათ ეს არ გამოუვათ.

ფოთში შვიდი დევნილი და ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ლიდერი დარეჯან ცხვიტარია უკვე მეოთხე დღეა, მერიის შენობის ფოიეში შიმშილობენ. აქციის მონაწილეები ფოთში სოზარ სუბარის ჩასვლას და მიმდინარე წლის აგვისტოში დევნილთათვის ბინების გაცემის საკითხის გამოძიებას ითხოვენ.

მოშიმშილეების განცხადებით, ფოთის ახალ რაიონში დევნილებს ბინები კორუფციული გარიგების გზით გადაეცათ.

„პია.გე“

დიდი ცემა-ტყეპა ბორჯომის საკრებულოში — ექსკლუზიური დეტალები

რით დაუზიანეს თვალი გედევან ფოფხაძის ძმას, ვინ ცდილობს ლეიბორისტი გიუაშვილის „დაჩმორებას“ და რატომ ფიგურირებს სერიულ ჩხუბში 10 ათასი ლარი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ახალი პოლიტიკური სეზონი ბორჯომის საკრებულომ ხმაურით დაიწყო. საერთოდ, ბორჯომი ემოციურ და ხმაურიან პოლიტგარჩევებს არც აქამდე უჩიოდა, თუმცა ბოლო ორი თვეა, სხდომა ისე არ ჩატარებულა, ვინმე არ გალახულიყო. მოკლედ, ბორჯომის საკრებულოს, რომლის რამდენიმე წევრიც სხვადასხვა ოპოზიციური პარტიიდანაა, ნამდვილად გამოსალოცი აქვს!

ბოლო ინციდენტი 29 აგვისტოს დაიწყო — საკრებულოს ლეიბორისტი გიორგი გიუაშვილი „ოცნებელ“ ალეკო გელაშვილს დაუპირისპირდა და, როგორც ითქვა, გიუაშვილმა გელაშვილს სახეში მძიმე საგანი ჩაარტყა. მოგვიანებით, ეს მძიმე საგანი გიუაშვილის ცნობილი ბეჭედი აღმოჩნდა, რომელსაც იგი ჩხუბის დროს „ცივ იარაღად“ იყენებს. ინციდენტის გიუაშვილისეული ვერსიით, სხდომის დარბაზში იგი ჯგუფური თავდასხმის მსხვერპლი გახდა... სერიული ჩხუბი ამით არ დასრულებულა. სამშაბათს, ლეიბორისტი გიუაშვილი კიდევ ერთ გაუგებრობაში გაეხვია და კონფლიქტი ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, გედევან ფოფხაძის ძმასთან, ბესიკ ფოფხაძესთან საკრებულოს ფოიეში მოუვიდა. ამის გამო სხდომაც ჩაიშალა. გიუაშვილმა ამჯერად ფოფხაძეს თვალში ჩაარტყა, თუმცა მისი მტკიცებით, მხოლოდ სახეში შეაფურთხა, ფოფხაძე კი შემთხვევით წაიქცა და თვალი დაარტყა.

„ვერსიამ“ ბორჯომის საკრებულოს სერიული ჩხუბზე, დეპუტატებისგან ორიგინალური კომენტარებიც მოისმინა და საინტერესო ფაქტებიც გაარკვია. როგორც აღმოჩნდა, ფოფხაძე-გიუაშვილის ნაცნობობა ათეულ წელზე მეტს ითვლის — 2003-2006 წლებში, როცა ბესიკ ფოფხაძე ქალაქ ბორჯომის მერი იყო, გიუაშვილი მასთან იურისტად მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში მათ შორის კონფლიქტი არ ყოფილა. როგორც ბესიკ ფოფხაძის კოლეგები ვარაუდობენ, 19 სექტემბრის თავდასხმა ლეიბორისტი გიუაშვილისთვის პოლიტიკური ალიბია, რომელსაც იგი სხვა კონფლიქტების გართულების შემთხვევაში გამოიყენებს და იტყვის, დეპუტატის ძმას რომ დავარტყი, ამიტომ მიჭერენო. „ვერსია“ ჯერ დაზარალებულ **ბესიკ ფოფხაძეს** დაუკავშირდა, რომელიც საკრებულოს წევრი კოალიცია „ოცნებაში“ შემავალი „მრეწველების“ სიით გახდა: **„სხდომა დაწყებული იყო, მაგრამ ფოიეში ვიდექი, რადგან ერთ-ერთ მოქალაქეს ვესაუბრებოდი. ამ დროს, გიორგი გიუაშვილი ზურგიდან მომეპარა, არც გამარჯობა უთქვამს, არც საყვედური, ისე გადავიდა ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე. სიმართლე გითხრათ, გაოცებული დავრჩი, რადგან მასთან ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა მქონდა. 1998 წლიდან ვიცნობ — წლები ჩემთან მუშაობდა. მას განუცხადებია, ძალადობას ძალადობით დავუპირისპირდიო, რაც სიცრუეა. მისთვის არასდროს დამირტყამს, არც კი მიცდია თუნდაც იმიტომ, რომ ჩემზე გაცილებით ძლიერია. ცხოვრებაში არავინ გამილახავს და მით უმეტეს, გიუაშვილი. არც მის ცემაში მიმიღია მონაწილეობა. როცა დაკითხვაზე ვიყავი, პოლიციასაც ვკითხე, ოდესმე ჩემს წინააღმდეგ საჩივრით თუ მოუმართავს-მეთქი. არაო, მითხრეს. თავად გიუშვილს სხვებთანაც ჰქონდა კონფლიქტი, მაგრამ მართლა ვერ ვხვდები, ჩემგან რა უნდოდა. ყველა დამეთანხმება, რომ ბურჯანაძე-დემოკრატებისა თუ საკრებულოში სხვა პოლიტიკური ოპონენტების წარმომადგენელ დეპუტატებთან კარგი ურთიერთობა მაქვს. გიორგი გიუაშვილმა კი პოლიტიკური პარტია 9-ჯერ შეიცვალა. ჯერ ჩემთან, „მრეწველებში“ იყო ცოტა ხნით, მერე რესპუბლიკელებში გადავიდა, მერე — პარტია „ოცნებაში“. მერე იქიდანაც წამოვიდა და ლეიბორისტებში მივიდა. მოკლედ, მდიდარი ბიოგრაფია აქვს“.**

მდიდარი ბიოგრაფიისა და პოლიტიკური გამოცდილების მქონე გიორგი გიუაშვილს კი თავის სიმართლე აქვს და ამ ისტორიას სულ სხვაგვარად ყვება. მისი თქმით, ბორჯომის საკრებულოში ერთადერთი რეალური ოპოზიციონერია და შესაბამისად, მმართველ გუნდს მისი აქტიურობა ყელში ეჩხირება. მეტიც, გიუაშვილი ირწმუნება, რომ სახელისუფლო პარტიებში მყოფ დეპუტატებზე პოლიტიკური კომპრომატები აქვს, რომელთაც მედიით პერმანენტულად აშუქებს.

გიორგი გიუაშვილი: „29 აგვისტოს, სხდომის დროს, თავს 20 კაცი ერთად დამესხა. მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ პასუხი ჯერ არავის უგია. ამ თავდასხმაში ბესო ფოფხაძეც მონაწილეობა და ამის შესახებ მოგვიანებით გამახსენდა — ხელი ზურგიდან დამარტყა. თავდასხმის მიზეზი კი, „მაესტროზე“ გასული სიუჟეტი გახდა, რომელიც ხელფასებსა და პრემიებს ეხებოდა. საკრებულოს სხდომის მიმდინარეობისას, ხულიგნურად დაკეტეს ოთახი და პირდაპირ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადმოვიდნენ. მოგვიანებით ანუ გასულ სამშაბათს, მაგიდასთან ვიჯექი და კიდევ ერთი დეპუტატი „ოცნებიდან“, წაღვერის მაჟორიტარი მოვიდა და სახეში ხელი გამარტყა. ამ ფაქტზეც დაიწყო გამოძიება, მაგრამ პოლიციამ სამი დღის მერე დამკითხა. მოკლედ, გამოძიების მხრიდან სრული იგნორია! საკრებულოს თავმჯდომარეს, ზაზა ჩაჩანიძეს პირდაპირი დავალება აქვს, საკრებულოში კონფლიქტური სიტუაციები შექმნას და, სხვათა შორის, ჩემზე თავდასხმაში უშუალოდ ისიც მონაწილეობდა. უნდათ, დამჯაბნონ და „დამაჩმორონ“, მაგრამ არ გამოუვათ! ბესოსთან კონფლიქტი არ მქონია და ზუსტად იმიტომ ვიყავი განაწყენებული, რომ მისგან ზურგიდან დარტყმას არ ვიმსახურებდი. ამიტომაც მივედი და შევაფურთხე, ხელი არ დამირტყამს. თვალი კი მაშინ დაარტყა, როცა შელაპარაკებისას შემთხვევით წაიქცა... ბესოს ძმა, დეპუტატი გედევან ფოფხაძე, პარლამენტში შესვლამდე, ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძეს აკრიტიკებდა. ამ კაცს ბორჯომში მინისა და მინერალური წყლის კომპანია „ბორჯომი“ აქვს. პირველი, რაც გედევანმა დეპუტატად გახდომის მერე გააკეთა, ისაა, რომ ხაზარაძე ადგილობრივ გაზეთს — „ჩვენი ბორჯომი“, ყოველ თვე 10 000 ლარს ურიცხავს. ამ გაზეთში კი ფოფხაძის რძალი, მარიამ ხითარიშვილი რედაქტორადაა გაფორმებული. გარდა ამისა, ბორჯომში ძალიან ტენდენციურად რიგდება საოპერაციო ხარჯები, ხალხს ნაცნობობით ეხმარებიან. ასევე წმინდანის დღესასწაული ამოიღეს აღსანიშნი ღონისძიებების სიიდან და მის ნაცვლად ნარდის ჩემპიონატი დანიშნეს. მოკლედ, ბევრი თემაა, რისი გაშუქებაც „ოცნებას“ არ აწყობს და ამის გამო გზიდან ჩემს ჩამოშორებას ცდილობენ“.

ბრალდებაზე პასუხის გაცემის საშუალება დეპუტატ გედევან ფოფხაძესაც მივეცით, რომელიც მისი და მისი ძმის პოლიტიკურ წარსულს მიჯნავს და ბესიკ ფოფხაძეს საკუთარ პოლიტიკურ დანამატად არ მიიჩნევს. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ლეიბორისტ გიუაშვილს ასევე პირადად იცნობს, აცხადებს, რომ ისა, რასაც გიუაშვილი კომპრომატს უწოდებს, სინამდვილეში, საქველმოქმედო პროექტია.

გედევან ფოფხაძე: „ჩემი რძალი, მარიამი სახლში ზის, არსად მუშაობს, არც აქამდე უმუშავია და ამჟამად, მცირეწლოვან შვილს ზრდის. ამის გადამოწმება უმარტივესია — მარიამს ანგარიშზე ერთი თეთრიც კი არასდროს ჩარიცხვია და არსად ყოფილა გაფორმებული. კიდევ უფრო დიდი ტყუილი ისაა, თითქოს მე ფულს მამუკა ხაზარაძე მაძლევს. კომპანია „აი სი ბორჯომი“, რომელიც ბორჯომშია, ჯერ ერთი, ხაზარაძესთან უშუალოდ დაკავშირებული არაა. მეორე, ეს კომპანია რიცხავს ფულს საქველმოქმედო ფონდში — „ჩვენი ბორჯომისთვის“, ხოლო ამ ფონდის დახმარებით, ბავშვები კომპიუტერსა და უცხო ენას უფასოდ სწავლობენ. ყველაფერ ამასთან ჩემი ერთადერთი კავშირი ისაა, რომ ჩემი იდეა იყო და თავის დროზე ვთქვი, თუ ამ კარგ საქმეს გააკეთებთ, ხელს შეგიწყობთ-მეთქი. ის ტერიტორია კი, სადაც ბავშვებს ასწავლიან, ჩემი ყოფილი სკოლის შენობაა, რომლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეც თავად გახლდით. გარდა ამისა, არსებობს კავშირი „ჩვენი ბორჯომი“, რომელსაც ფონდი გარკვეულ თანხას ურიცხავს თავისი საქმიანობის გაშუქებისთვის და მათ შორის ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა გაფორმებული. მარიამი ჩემს საარჩევნო შტაბში იყო ცოტა ხნით, იქაც არანაირი ხელფასი არ აუღია, არჩევნების დროს ჩემს დასახმარებლად მოვიდა და ამის მერე ის და ჩემი ძმა შეუღლდნენ. ასე რომ, რასაც გიუაშვილი „კომპრომატად“ მიყენებს, ეგ მე კარგ საქმედ მიმაჩნია და სადაც უნდა, იქ გააშუქოს!“

ასეა თუ ისე, ბორჯომის საკრებულოს დეპუტატებმა ერთმანეთი უკვე გალახეს და ადგილობრივ პოლიციაში არაერთი საჩივარიცაა შეტანილი. 19 სექტემბრის ინციდენტის გამოძიება დაიწყო და როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვითხრეს, საქმე 125-ე მუხლით, ცემის ფაქტზეა აღძრული. ჯერჯერობით, დაკავებული არავინაა, გიორგი გიუაშვილს ეჭვმიტანილის სტატუსი აქვს, ბესიკ ფოფხაძეს კი, სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა და თვალი აქვს დაზიანებული.

ვერსიანიუსი

New York Times: „სააკაშვილი აშშ-ში ტურისტულ სტატუსს სამუშაო ვიზაში ცვლის“

ამერიკული გამოცემის ინფორმაციით, საქართველოს ექსპრეზიდენტი მემუარებს წერს, კითხულობს კარგად ანაზღაურებად ლექციებს, მონაწილეობს ვაშინგტონში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნებაში და ხვდება თავის ძველ ნაცნობებს ისეთებს, როგორებიც არიან სენატორი ჯონ მაკკეინი და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი.

„ამბობს, რომ ტურისტული სტატუსის აშშ-ში სამუშაო ვიზის გადაცვლის პროცესშია, მანამდე კი თავისი ახალი სამშობლოს ბარებითა და კაფეებით ტკბება. სახლის ვერანდაზე კი, რომელსაც საუცხოო ხედი აქვს მანჰეტენზე, მხიარულად ატარებდა დროს დევიდ პეტრეუსთან, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილ დირექტორთან, თვის ბოლოს კი სტუმრად ელის საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი ჯეისონ ჰოროვიცი.

„ნიუ იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, ამჟამად მიხეილ სააკაშვილი ბიძის სახლში ცხოვრობს, რომელიც ნიუ იორკში, უილიამსბურგში მდებარეობს. **„უილიამსბურგი დემოკრატიული ტრანსფორმაციის ნაწილია. თუ ადრე აქ მაფია იყო, ახლა „ჯაზური ატმოსფეროა“, აქაურობა ენერგიითა და ახალი მშენებლობებით არის სავსე“,** — ციტირებს გამოცემა მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, მიხეილ სააკაშვილი მიდრეკილია იმისკენ, რომ ბევრი რამ დემოკრატიული მშენებლობის ჭრილში დაინახოს. მაგალითად, ის მოდურ კაფე „მოგადორს“ თავის საყვარელ კაფეს უწოდებს, რადგან ძალიან დემოკრატიულია. **„და ვიდრე ის უილიამსბურგში ცხოვრების სიძვირეზე წუწუნებს, თუმცა კი ამბობს, რომ ღარიბი არ არის, მაგრამ ფასები მართლაც იკბინება, თავისუფალი ინიციატივების ჩემპიონი თავისი ახალი მეზობლების სოციალურ მობილურობას აღმერთებს“,** — წერს სტატიის ავტორი.

ამერიკულ გამოცემაში აღნიშნულია, რომ ჩვეულებრივ, ყოფილი პრეზიდენტი მეტროთი მიდის მანჰეტენში, სადაც ხშირად სტუმრობს ქართულ რესტორნებს „ოდა ჰაუზს“ და „პეპელას“, უკვეთავს ქართულ საფერავს, ცოტა ხნის წინ კი ბილ კლინტონთან ერთად ისადილა. სტატიის ავტორი წერს, რომ აგვისტოში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილს ბრალი წაუყენა საბიუჯეტო თანხების ფლანგვაში, მათ შორის იყო პერსონალური სტილისტის სასტუმროს ხარჯების ანაზღაურება, ბოტოქსის ხარჯები, იტალიაში იახტის დაქირავება და ლონდონელი მხატვრის, მერედიტ ოსტრომის ნამუშევრების შეძენა. ავტორის განცხადებით, თუ მიხეილ სააკაშვილს ბრალი დაუმტკიცდება, 11 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის.

„ბატონ სააკაშვილს, ასევე, ბრალი წაუყენეს საბიუჯეტო ხარჯების გამოყენებაში მასაჟისტის, დოროთი შტეინის საქართველოში ვიზიტისთვის 2009 წელს. თავად ბატონი სააკაშვილი ამბობს, რომ დოროთი შტეინის მასაჟით მხოლოდ ერთხელ ისარგებლა, თუმცა ქალბატონი შტეინი აცხადებს, რომ 2 ათასი ევრო მიიღო სააკაშვილისთვის მასაჟების ჩატარებისთვის, მათ შორის „კბენითი მასაჟის“ სეანსებისთვის“, — წერს სტატიის ავტორი. გამოცემა ციტირებს დოროთი შტეინის კომენტარს, რომელიც აცხადებს, რომ უამრავი საჩუქარი მიიღო მიხეილ სააკაშვილისგან: **„მითხრა, რომ მისი ცოლი არ იყო წინააღმდეგი. ასევე მაჩუქა ოქროს ყელსაბამი რელიგიური გულსაკიდით, თუმცა ჩემი ღმერთი ფრენკ ზაპაა და ამ ყელსაბამის ტარებას არ ვაპირებ“.** ამასთან, როგორც გამოცემაშია აღნიშნული, თავად მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, რომ მისთვის წაყენებული ბრალდებები არაფერს ამტკიცებს გარდა იმისა, რომ იგი პოლიტიკურ „კუდიანებზე ნადირობის“ სამიზნეა.

„ინტერპრესნიუსი“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

უმუშევრობა, უპერსპექტივობა, განათლების დაბალი ხარისხი, ნიჰილიზმი... — ეს დღევანდელი ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი სამწუხარო ნიშნების არასრული ჩამონათვალია. სწორედ ამ განწყობის შედეგია, რომ ლამის ყოველი მეორე უცხოეთში „გაღწევაზე“ ოცნებობს... ქვეყანა ნელი ტემპით ვითარდება და ახალ თაობას ვერ სთავაზობს სივრცეს სრულფასოვანი რეალიზაციისთვის, ამიტომ ქართველი ახალგაზრდების, ალბათ, დიდ ნაწილს წარმატების მიღწევის არ სჯერა, სამუშაოს ძებნისას, პირველივე უშედეგო ცდაზე, ხშირად ხელს იქნევს და უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაზე უარს ამბობს. არსებობს თუ არა ამ ვითარებიდან გამოსავალი?

ქართველ ახალგაზრდობას „უკურნებელი სენი“ შეეყარა

რა იწვევს და როგორ დავძლიოთ ნიჰილიზმი ანუ „ყველაფრის უარყოფის სინდრომი“

ნანა ჩაჩუა, ფსიქოლოგი: „საკუთარი თავის მნიშვნელობის დაკარგვა, გარემოს მტრული აღქმა და უპერსპექტივობა ახალგაზრდისთვის ყველაზე მძიმე მდგომარეობაა, რაც ყველაფრის უარყოფამდე ანუ ნიჰილიზმამდე მიდის. ამ მდგომარეობაში კი, ადამიანისა და ზოგადად, სამყაროს არსებობას აზრი არ აქვს, ამიტომ ცხოვრების ყველა სფეროში პროტესტმა, სხვადასხვა სახით და ასოციალურმა გამოვლინებებმა იმატა. ამასთან, მდარე მუსიკა, ლიტერატურა, ასეთივე ტელეგადაცემები წარმოიქმნა და ღირებულებებისაგან დაცლილი ფსიქოსოციალური სივრცე მივიღეთ. ცხადია, ახალგაზრდას მხოლოდ საკუთარი შინაგანი რესურსებით აღნიშნული წინააღმდეგობების დაძლევა უძნელდება. მომავალს, მანკიერი ცხოვრების სტილის წახალისებით, საბედისწერო განაჩენი აქვს, მით უმეტეს, ახალგაზრდები ხედავენ ე.წ. ცნობად სახეებს, რომელთა განათლება და ზნეობრივი სახე საკმაოდ სავალალოა. ჯანსაღი გარემოს შექმნაზე საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ერთად უნდა იზრუნონ. განსწავლულობისა და შრომის პატივისცემის გარეშე, ადამიანური არსებობა შეუძლებელია.

საზღვარგარეთ წამსვლელთა შორის, ძირითადად, სამი კატეგორიაა გამოკვეთილი. ერთნი მხოლოდ სამუშაოს ეძებენ, მეორენი განათლების მსურველები არიან; მესამე ნაწილს კი, სწავლა სწყურია, მაგრამ სწავლის ფული იქვე, საკუთარი შრომით უნდა იშოვოს. თანამედროვე ადამიანისთვის, როცა კომუნიკაციის ასეთი ფართო და ხელმისაწვდომი საშუალებები არსებობს, ქვეყნის გარეთ ნებისმიერი მიზნით გასვლა, იქნებ, პრობლემური არც უნდა იყოს, მაგრამ თუ ეს შეჭირვებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა გამოწვეული, ყოველი ასეთი გასვლა წინმსწრები დაძაბულობის მატარებელია. ადამიანის უსაფრთხოების გარანტი მისი მოქალაქეობაა — მას თავისი ქვეყნის კანონი იცავს. არალეგალობის შემთხვევაში კი, თავს ვერც უსაფრთხოდ იგრძნობს და არც მოქალაქეობრივი სრულყოფილობის განცდა ექნება. დაუცველობის განცდა სახიფათო რისკების იმპულსებს აღძრავს. ამიტომ ხშირად, სამწუხაროდ, საქართველოს საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების კრიმინალურ საქმიანობაზე ლაპარაკობენ.

კრიტიკული ცნობიერების შემთხვევაში, ადამიანი ყოფნასა და არყოფნას შორის პირველს ირჩევს. ყოფნა აზრის წარმოების პროცესი ანუ აზროვნებაა. ესაა ადამიანური ცხოვრება, ჭეშმარიტი სიცოცხლე. აზროვნება თავად შრომაა, როგორც ფიზიკური, ასევე, ფსიქიკური. არსებულიდან შესაძლებლობის წარმოსახვას არსებულზე პასუხისმგებლობა ახლავს. ზოგჯერ ცხოვრება ადამიანს ურთულეს მომენტებს სთავაზობს და სწორედ ამ დროს ადამიანს ყველაზე მართალ გზას სიცოცხლის უნარი აპოვნინებს. ამ მდგომარეობას ცნობილმა ფსიქოლოგმა ვიქტორ ფრანკლმა უკანასკნელი თავისუფლება უწოდა; მერაბ მამარდაშვილისთვის კი, სწორედ აქ, ამ მომენტში იბადება ნამდვილი ადამიანი. „გაუსაძლისის გაძლებიდან იბადება ადამიანი, მეორედ და – ნამდვილად“ (მერაბ მამარდაშვილი). რელიგიაში ამას განსაცდელი ჰქვია, განსაცდელის მიღებასა და მასზე პასუხისმგებლობის აღებას კი, — მადლი. ადამიანი ადამიანად კი არ იბადება, არამედ, მის შესაძლებლობად. შესაძლებლობის რეალობად ქცევას მხოლოდ მემკვიდრული ნიშან-თვისებები და გარემო კი არა, ინდივიდუალური, საკუთრივ პიროვნული ნიშნებიც განაპირობებენ. ამიტომაც, ყოველი ადამიანი საკუთარი თავის, საზოგადოებისა და ბუნების წინაშე პასუხისმგებელია. სიკვდილ-სიცოცხლის ერთდროულმა ხედვამ დააძლევინა სიკვდილი ნოვალისს, ბარათაშვილს, ვაჟას... „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

ახალგაზრდობა – ეს ბევრი, ბევრი კითხვის დროა, „ცოდნა სიკეთეა“, — ამბობდა სოკრატე. ცოდნისა და სიყვარულის, ცოდნისა და ზნეობის ერთიანობით შევძლებთ, განვახორციელოთ თავისუფლება ანუ ვეზიაროთ ბედნიერებას“.

„დიდი გამყინვარების“ პერიოდში ვართ... მთავრობას აფხაზეთი არ აინტერესებს!“

რუსუდან შელია, 557-100-768



ოკუპირებულ აფხაზეთში არჩევნების დასრულების შემდეგ, დე ფაქტო მთავრობა საქართველოს ხელისუფლებისგან 20-მილიარდიან კომპენსაციას ითხოვს. პარალელურად, აფხაზური და რუსული ჯარების გაერთიანებაზეც საუბრობს, რაც პაატა დავითაიას აზრით, აფხაზეთის რუსეთის სუბიექტად გამოცხადების პროცესის ნაწილია. რატომ დაკარგა აქტუალობა როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხმა, როგორ აფასებენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფხაზეთში და რა გზავნილია მათთვის აჭარის ავტონომიურ ოლქში გაჩენილი დაპირისპირება? — „ვერსიას“ ევროპელი დემოკრატების ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრა.

პაატა დავითაია ნინო ბურჯანაძესა და ნაციონალებთან სადაპარაკოდ მზად არის

— აფხაზეთში პროცესები პუტინის სასარგებლოდ მიმდინარეობს — ყველაფერი იქითკენ მიდის, რუსეთმა აფხაზეთი სუბიექტად გამოაცხადოს. ცხინვალში აღნიშნული საკითხი მოგვარებულია, აფხაზეთში კი რუსეთის მიზნების ღიად გაცხადება მარტივი არაა. შესაბამისად, კრემლი ნელა მოქმედებს — ცოტა ხნის წინ აფხაზური და რუსული ჯარების ერთიანობაზე გაკეთდა განცხადება. მართალია, პაატა ზაქარეიშვილმა გამოგვიცხადა, ამაში პრობლემას ვერ ვხედავო, მაგრამ შემდეგი ნაბიჯი აფხაზური და რუსული სოციალური თუ ჯანდაცვის სისტემის გაერთიანება იქნება, შემდეგ პენსიებიც საერთო ექნებათ, ბოლოს კი, აფხაზებს ეტყვიან, რაში გჭირდებათ დამოუკიდებლობა, როცა ყველაფერი საერთო გვაქვს, თუ გნებავთ, პრეზიდენტი თავად აირჩიეთ, მაგრამ ჩვენი სუბიექტი იყავითო. ყირიმშიც იგივე მოხდა.

— წესით, ყირიმის ფონზე, ჩვენი ხელისუფლება მოვლენების ასეთი განვითარებისთვის მზად უნდა იყოს. ბატონო პაატა, ქართულ მხარეს ატყობთ ასეთ მზადყოფნას?

— მთავრობას აფხაზეთი საერთოდ არ აინტერესებს. საქართველოს პარლამენტს აფხაზეთთან დაკავშირებით ერთი განცხადება მაინც გაუკეთებია ან ოდესმე ბიუროზე უმსჯელია? არც იმაზე საუბრობს ვინმე, რომ აფხაზეთიდან წიაღისეული გააქვთ... პირიქით, თურქეთში საქართველოს ელჩი აცხადებს, წარმატებაა, რომ დე ფაქტო არჩევნებისთვის თურქეთში საარჩევნო უბანი კერძო სახლში გაიხსნა და არა სახელმწიფო დაწესებულებაშიო. როცა ასეთი ჩინოვნიკები გვყავს, ბუნებრივია, სეპარატიზმი გაიზრდება. ხალხიც ყველაფერს შეეგუა და ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი უმუშევრობის პრობლემამ გადაფარა..

— აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ქართული მხარისგან 20-მილიარდიან კომპენსაციას ითხოვს. ეს რას ნიშნავს?

— დიდი ხანია, აფხაზეთი 20 მილიარდს ითხოვს. შესაძლოა, ივანიშვილმა გადაუხადოს კიდეც, მაგრამ, ჯერჯერობით, მას მხოლოდ შვიდი მილიარდი აქვს. რატომ არავის უჩნდება კითხვა, წლების განმავლობაში, როცა ბიძინა ივანიშვილი მსახიობებსა და მომღერლებს ფულს უხდიდა, ერთი დევნილი დააფინანსა? პირადად მე, ერთ დევნილსაც არ ვიცნობ, რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა თუნდაც სახლი უყიდა...

რომელ აფხაზეთზე ვსაუბრობთ, როცა ხელისუფლება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასაც ვერ აკონტროლებს?! ამის შემდეგ აფხაზი საქართველოსკენ გამოიხედავს? რა მნიშვნელობა აქვს, პარტიიდან მურმან დუმბაძე გარიცხეს თუ არა, აჭარაში პრობლემა ხომ გაჩნდა? დღეს საქართველოს ორი პარლამენტი აქვს: ნაციონალები ქუთაისში არიან, „ქართული ოცნება“ — თბილისში, უშიშროების ორი საბჭო არსებობს, მმართველ გუნდშიც ორი ძალაა — მარგველაშვილი და ბიძინა ივანიშვილი. სასაცილოა, როცა კანონებით გვესაუბრებიან, არადა, მარტივია — ივანიშვილს არ უნდა მარგველაშვილი, რასაც ექსპერტების დასკვნა სულაც არ სჭირდება. მარგველაშვილს ფართიც კი დაუთვალეს, შესაძლოა, ხვალ აღსრულებით გამოასახლონ და ყვითელ ავტობუსში ჩასვან. არავის ვაკნინებ, ავტობუსით მეც დავდივარ, მაგრამ ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის ინსტიტუტის პატივისცემაზე ვლაპარაკობ.

თუ ასე შევხედავთ, მთავრობასაც ერთი სამუშაო მაგიდა ეყოფა, საბოლოოდ კი, მილიარდელსაც და ღარიბსაც მხოლოდ ორი მეტრი მიწა სჭირდება. მსგავსი რამ არცერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხდება. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ინიშნება.

— არასაპარლამენტო ოპოზიცია გააქტიურებას სწორედ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით აპირებს, მაგრამ ამის წინაპირობად ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი მარგველაშვილის განცხადებების დასახელება უსაფუძვლოდ არ გეჩვენებათ?

— თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია არ გაერთიანდა, ვერაფერს გააკეთებს. როცა საარჩევნო კომისიაში 12 წევრი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას რა აზრი აქვს? ამ ეტაპზე, 5-6 პარტია კონსულტაციის რეჟიმში ვართ და ზოგადად, ყველა პარტიასთან საუბრისთვის მზად ვართ.

— არ ფიქრობთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომელმაც ადგილობრივი არჩევნების წინ გაერთიანება ვერ შეძლო, „გაიკრიფა“ და საზოგადოების ნდობაც დაკარგა?

— არასაპარლამენტო ოპოზიციას ბევრი პრობლემა აქვს, პირველ რიგში კი, უფულობა. თუ ნდობაზე ვსაუბრობთ, კოალიციაში შემავალ პარტიებს საზოგადოების ნდობა ჰქონდათ? ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, ისინი არც გაერთიანდებოდნენ. არასაპარლამენტო ოპოზიციაც ბუნებრივად კი არ „გაიკრიფა“, ეს ივანიშვილმა უზრუნველყო, რადგან ამისთვის საკუთარი და სახელმწიფო ფინანსები დახარჯა, თუმცა ეს მეთოდი მაინც ვერ გაამართლებს, რადგან საზოგადოებაში უკმაყოფილება მატულობს: ციხეები „გაშავებულია“, დღეს დამნაშავე ციხეში მიდის როგორც საკუთარ სახლში, შესაბამისად, არც დანაშაულის ჩადენის ეშინია. ქვეყანა წინ ვერ მიდის. „დიდი გამყინვარების“ პერიოდში ვართ, სამინისტროები ბიუჯეტს ვერ ითვისებენ და ამის გასამართლებლად არგუმენტიც არ აქვთ.

— ოპოზიციის გარდა, ხელისუფლების კონტროლს ვერც საზოგადოება ახერხებს. 20-წლიანი გამოცდილების შემდეგ, საზოგადოება მის მიერვე დაქირავებული მთავრობის მმართველად რატომ ვერ ჩამოყალიბდა?

— „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას ერთი-ერთში დაემსგავსა — მხოლოდ ჩვენ ვართ მართლები, სხვა ყველა ტყუისო. 2007 წლამდე, ვიდრე იძულებული არ გახდა, კვოტები ოპოზიციისთვისაც დაეთმო, სააკაშვილიც ასე ამბობდა. დღეს კი, საზოგადოებასაც ერთი ადამიანი — მოქალაქე ივანიშვილი აკონტროლებს. გამოჩნდა თუ არა ტელევიზორში, გიორგი მარგველაშვილისა და მთავრობის დავაც დასრულდა — აშშ-ში პრეზიდენტის ვიზიტი ჩაიშალა. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაშიც ახალი მმართველობის სტილი შემოიტანა — ყველაფერს ფული წყვეტს. პრინციპები და იდეოლოგია კი, სადღაც გაქრა...

— ბოლო დროს კიდევ ერთი თემაა აქტუალური — ნაციონალური მოძრაობის შეთქმულება. ნაციონალების მხრიდან კიდევ ერთი რევოლუცია რეალობად გეჩვენებათ?

— ნაციონალური მოძრაობის შეთქმულებაზე საუბარი არასერიოზულია, ვინ უნდა დადგას რევოლუცია მეორედ? ეს პარტია რამდენიმე ჯგუფადაა დაქსაქსული, რადგან ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა. ასეთ მდგომარეობაში კი, პოლიტიკაში ვერაფერს გააკეთებ. ნაციონალური მოძრაობა საბოლოოდ ჩაიკეტა. იმის თქმა, რომ მათთან ურთიერთობის პრობლემა არ მაქვს, არ მერიდება.

— ბატონო პაატა, წლებია, ბრალს ნაციონალებთან გარიგებაში გდებენ. ამ განცხადებით ეჭვს უფრო ამძაფრებთ, არა?

— ზოგადად, ოპოზიციასთან საუბრის პრობლემა არ მაქვს, რადგან როგორც გითხარით, ამ ფლანგზე გაერთიანების გარეშე ყველა მცდელობა კრახით დასრულდება. ნინო ბურჯანაძესთანაც კი წავალ.

— ცოტა ხნის წინ პრინციპებზე არ საუბრობდით ?

— ნინო ბურჯანაძე პარლამენტშიც რომ იყოს, მასაც უნდა ელაპარაკო. ლაპარაკი ავტომატურად თანამოაზრედ ქცევას არ ნიშნავს. ჩემთვის „მინუს ერთი“ არ არსებობს.



მარგველაშვილისგან ოპოზიციას თავად „ოცნება“ ქმნის?

რეალურად გეგმავენ თუ არა ნაციონალები სამხედრო გადატრიალებას, რა იმპერატიული უფლებები აქვს პრეზიდენტს, რა — პრემიერს და როგორ აფასებს პოლიტიკურ ვითარებას ვახტანგ ძაბირაძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რამდენიმე კვირაა, საქართველოში მთავარი პოლიტიკური თემა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირებაა. ვინ უფრო ძლიერია — გიორგი მარგველაშვილი თუ ირაკლი ღარიბაშვილი, ან ვის მეტი ძალაუფლება აქვს — დანიშნულ პრემიერსა თუ არჩეულ პრეზიდენტს?! რა იმპერატიული უფლებები აქვს პრეზიდენტს; ვის და როგორ შეუძლია, გამოიყენოს კონსტიტუციის ორაზროვანი მუხლები და ვინ ისარგებლებს ამ კინკალობით ყველაზე მეტად — პირობითი „გამარჯვებული“ თუ ნაციონალური მოძრაობა? — „ვერსიის“ ამ კითხვებს კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე პასუხობს.

— დღევანდელი ვითარება ორ სახელისუფლო შტოს შორის ლიდერობის მცდელობაა. თუ ასე არაა, მაშინ ჩემთვის აუხსნელია, ან ერთი მხარე რას ცდილობს, ან — მეორე. ვერ ვხვდები, მათი მიზანი, კონკურენციის გარდა, რა შეიძლება იყოს. ეს არის ბრძოლა პოლიტიკური ლიდერობისთვის. პრეზიდენტს აქვს ბერკეტი, გააჭიანუროს მთავრობის რიგი გადაწყვეტილებები, მაგრამ მთავრობა ნამდვილად ვერ იტყვის, რომ რაღაც გადაწყვეტილების მიღებაში ხელი შეუშალა. „ოცნება“, 2 წელია ხელისუფლებაშია, მას რეიტინგი დაუვარდა და სავარაუდოდ, 2 წლის შემდეგ, თუ ძალაუფლებაზე ჩაბღაუჭებას არ ეცდება, არჩევნებს წააგებს. საერთოდ, ახალი ძალის გამოჩენის შემდეგ, დიდ მოლოდინს დიდი იმედგაცრუება მოსდევს და ეს ბუნებრივი პროცესია.

— ბატონო ვახტანგ, ყველაფერთან ერთად, ისიც ვერ გაგვირკვევია, საპარლამენტო მმართველობის ქვეყანაში ვცხოვრობთ თუ — საპრეზიდენტო?

— ჩემი აზრით, ეს შერეული მმართველობაა, სადაც დიდი აქცენტი საპარლამენტო მოდელზეა გაკეთებული. კონსტიტუცია თაროზე შემოსადები წიგნი კი არა, ქვეყნის ძირითადი კანონია ამაზე მხოლოდ ხელისუფლება კი არა, ყველა ერთად უნდა დავფიქრდეთ და კონსტიტუციასთან მიმართებაში ფრთხილად ვიყოთ. 2010 წელს ამ ახალი კონსტიტუციის მიღებას მთავრობის სახლთან 400-500 ადამიანი ვაპროტესტებდით და ვამბობდით, რომ ამ ტიპის კონსტიტუცია აუცილებლად წარმოშობდა დაპირისპირებას. დაპირისპირება ახლაცაა, როცა ხელისუფლებაში ყველგან ერთი გუნდია და წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ქვეყნის სათავეში სხვადასხვა პოლიტიკური გუნდი რომ მოსულიყო.

დარწმუნებული ვარ, პრემიერი ისევ ივანიშვილი რომ ყოფილიყო, დღეს ეს ვითარება არ იქნებოდა. კულუარებიდან ვინ ვის რას კარნახობს, სხვა თემაა, მაგრამ ახლა ავანსცენაზე მაყურებელი მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს ხედავს. ეს ადამიანები კი დღეს ძალაუფლების მექანიზმებისა და კონსტიტუციური უფლებების გამო კი არ იბრძვიან, არამედ იმას არკვევენ, ვინ ვინაა და ვის რა პოლიტიკური წონა აქვს.

— ამბობთ, რომ ეს კინკლაობა წყალს უფრო პრეზიდენტის წისქვილზე ასხამს, ვიდრე — მთავრობის. იქნებ, ყველაფერი შეთანხმებული თამაშია, რომლის მიზანიც სწორედ მარგველაშვილის რეიტინგის აწევაა?

— თუ ასეა, ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო მოულოდნელობა და სტრატეგიულად სწორი სვლა იქნება და აი, რატომ: თუ 2016 წლის არჩევნებზე მთავრობის რეიტინგი დაბალი იქნება, მაშინ ხელისუფლებაში მისი ოპოზიცია უნდა მოვიდეს ანუ მარგველაშვილისგან იქმნება ოპოზიცია, რომელიც ხალხისთვის მისაღები უნდა იყოს და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. გამოდის, თუ ღარიბაშვილის რეიტინგი ამ 2 წელიწადში დაეცემა და ის პოლიტიკაში ვეღარ დარჩება, მაშინ დარჩება გიორგი მარგველაშვილი, თუმცა გულწრფელად გითხრათ, ქვეყნაში არსებული პოლიტიკური და ინტელექტუალური რესურსი ამის ფიქრის საშუალებას არ მაძლევს. ეს მეტად სწორად დაგეგმილი და რთული პოლიტიკაა.

— ასეა თუ ისე, ამ ვერსიას არსებობის უფლება ისევე აქვს, როგორც იმას, რომ მარგველაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ერთ ფლანგზე ვიხილოთ. სხვათა შორის, ნაციონალები ამ დავაში მხარს პრეზიდენტს უჭერენ...

— ნაციონალური მოძრაობა, დღევანდელი გადასახედიდან, 2016 წელს ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება; მეტიც, ალბათ, ანგარიშგასაწევი ძალაც ვეღარ იქნება, თან პარტიაშიც გარკვეული რყევები დაიწყო. არ ვიცი, მედიასთან ურთიერთობასა და ფინანსებს ვინ განაგებს, მაგრამ, თუ ნაციონალების ახალ სახეებს ეს ორი თემა უზრუნველყოფილი აქვთ, დიდი სისულელე ქნეს, როცა სარფში მიხეილ სააკაშვილთან გამოცხადდნენ. დღეს სააკაშვილის პოლიტიკურად „აკიდება“ წამგებიანია. ის კი, რომ ნაციონალები მხარს უჭერენ მაგალითად, მურმან დუმბაძეს და ცდილობენ პრეზიდენტის მხარდაჭერას, ისევ დუმბაძისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ მუშაობს. ნაციონალები ამ „მხარდაჭერით“ მათ კი არ ეხმარებიან, პოტენციური კონკურენტების ჩაძირვას ცდილობენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ჭკვიანურ პოლიტიკას ატარებენ. „ოცნება“ პრობლემის წინაშე დგას — ხელისუფლება მთლიანად გადაიბარა და მესმის, ახლა ეკონომიკის „გადალაგებასაც“ დრო სჭირდება. მთავარია, ამ ერთ წელიწადში ეკონომიკის „გადალაგება“ მოხდება თუ „გადანანწილება“. ამ მხრივ გარდამტეხი 2015 წელი იქნება.

— ამ გარდატეხამდე, მოდით, გავარკვიოთ, რომელია ის იმპერატიული უფლებები, რაც პრეზიდენტს კანონით ენიჭება და რასაც ვერც პრემიერი შეეცილება და ვერც რომელიმე სამინისტრო?

— მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წარდგენა. მათ პარლამენტი ნიშნავს, მაგრამ — არ ირჩევს. კანონში არც ის წერია, 100-ჯერ რომ ჩააგდონ პრეზიდენტის კანდიდატურები, მერე რა მოხდება. სულ რომ უზენაესი სასამართლოს გარეშე დავრჩეთ, არც პარლამენტს და არც მთავრობას საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლება არ აქვს. ეროვნული ბანკის საბჭოსაც მთლიანად პრეზიდენტი წარადგენს, პარლამენტი კი ამტკიცებს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტსაც საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს. რაც შეეხება მთავრობას, როცა მის მიმართ უნდობლობის გამოცხადება იწყება და პარლამენტი პრემიერ-მინისტრობის ორ კანდიდატურას აყენებს, მათგან ერთს პრეზიდენტი ირჩევს. თუ, დავუშვათ, დეპუტატების ხმები გაიყო, პრეზიდენტს შეუძლია, ორივე კანდიდატურაზე უარი თქვას და ამ დროს უკვე პარლამენტმა თავისი კანდიდატურა სამი მეხუთედით წარადგინოს, ორი მესამედით კი დაამტკიცოს. თუ ასე არ მოხდა, პრეზიდენტს უფლება აქვს, დაშალოს პარლამენტი. ასევე, ბიუჯეტის ჩავარდნის შემთხვევაში, თუ პარლამენტმა ვერც ბიუჯეტი მიიღო და ვერც მთავრობა გადააყენა, მაშინ პრეზიდენტს შეუძლია, დაითხოვოს პარლამენტი. მარეგულირებელი კომისიის წევრებსაც და პრეზიდენტსაც პრეზიდენტი ნიშნავს, თუმცა საინტერესოა, რომ

თუ პრეზიდენტი პარლამენტში საყრდენს მოიძიებს, მას შეუძლია გამოიწვიოს ხელოვნური პრობლემა და ვთქვათ, დაიწყოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, თუმცა საყრდენი რომც ვერ ნახოს და გარანტიები არ ჰქონდეს, ამით არაფერს აგებს.

— სამაგიეროდ, პარლამენტს შეუძლია მისი იმპიჩმენტი. რამდენად რეალურია, პრეზიდენტს მხარი ნაციონალებმა დაუჭირონ ან თუნდაც უმრავლესობაში ნახოს დასაყრდენი?

— ეს ამბიცია შეიძლება გაუჩნდეს, მაგრამ არ მგონია, მოიპოვოს გარანტირებული დასაყრდენი და მეორეც — ნაციონალური მოძრაობის პარტნიორობა ისეთი ტვირთია, რომლის აწევა საქართველოში არავის შეუძლია, არც გიორგი მარგველაშვილს და არც ბიძინა ივანიშვილს. ამის თქმა სამწუხაროა, მაგრამ დღეს ნაციონალური მოძრაობა საძულველია და ხალხში ზიზღს იწვევს, ამიტომ მისი „გათეთრება“ ძნელია!

— ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ ნაციონალები მომავალი არჩევნების შემდეგაც პოლიტიკაში დარჩნენ — სააკაშვილს უნდა გაემიჯნონ, ახალი სახეები წამოწიონ?

— ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ქვეყანაში რაღაც კატასტროფა უნდა მოხდეს. ჩემი აზრით, არჩევნებით ამის გაკეთება გაუჭირდებათ. არ მგონია, მათ ე.წ. მაიდანი მოაწყონ. ხალხი ნაციონალებს, უბრალოდ, არ გაყვება, მხარდამჭერთა ის 20% კი, რომელიც ჰყავთ, ასეთ მასშტაბურ პროცესებში არაფერს ნიშნავს.

ყველაფერი, რასაც ნაციონალები ოპოზიციაში აკეთებენ, ჭკვიანური და სწორია, მაგრამ ხალხში მათ მიმართ შეცვლილ დამოკიდებულებას მაინც ვერ ვხედავ. დღეს ისინი რაღაც მარგინალურ ძალად ყალიბდებიან, მათი იზოლაცია მიდის. ჯერჯერობით, დასავლეთისგან გარკვეული მხარდაჭერა, მედია და ფინანსები აქვთ, მაგრამ ყველაფერი რამდენ ხანს ეყოფათ, სხვა თემაა. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს, ნაციონალები ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ — ალბათ, ამის ერთადერთი გზა შეიარაღებული გადატრიალებაა.

— როცა ორი წელია ხელისუფლებაში ხარ და მეუბნები, ისევ ნაციონალები მისმენენ, მასამართლებენ, მიჭერენ და მაწამებენ, მაშინ განა შეიარაღებული გადატრიალების საფრთხე რეალური არაა?

— ორი წელია ხელისუფლებაშია „ოცნება“ და გვეუბნება, რაღაც ისეთი აპარატურა აქვთ, ვერ ვიპოვეთო, არ ვიცი, ეს რას ნიშნავს! რით ვერ აღმოაჩინეს და მოაშორეს ეს აპარატურა?! ან საინტერესოა, მე რომ მეუბნები, მე რა ვქნა?! იმიტომ აგირჩიე, რომ ყველაფერი, რაც არ მომწონდა, აღმოფხვრა და, როცა ამას ვერ ახერხებ, ადექი და წადი!

ვერსიანიუსი

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო



შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს და ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული ნოდარ ზ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში შემოტანის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 16 შეკვრად დაფასოებული 9,3664 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 2,5476 გრ ჰეროინს შეიცავს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის 4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

უაქციზო საქონლის გადაზიდვისთვის ერთი პირი დააკავეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გოჩა ჩ. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის ბრალდებით ახალციხე-ადიგენის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის ავტომანქანის ჩხრეკისას რუსული აქციზური მარკის მქონე, სარეალიზაციოდ გამზადებული, 1500 კოლოფი სიგარეტი „მალბორო“ ამოიღეს, რომლის საბაზრო ღირებულება 4500 ლარს შეადგენს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

რატომ დაუჭირა მხარი ლუდის მწარმოებელმა გოგი თოფაძემ ქუჩაში ლუდის სმის აკრძალვას

„უცხოელები საქართველოს „ბაბუინების“ ქვეყნად აღიქვამენ და მთელი ნაგავი სწორედ ამ ტიპის ქვეყნებში შედის!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოში მოდერნიზებული „ანდროპოვის დროა“ — 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელის მიღება იკრძალება. კანონში განმარტებულია, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად ითვლება სკვერები, სპორტული მოედნები, ქუჩები, მაგრამ აკრძალვა არ ეხება ზემოხსენებული პროდუქციის წარმოებისა და კაფე-ბარების მიმდებარე ტერიტორიებს. შესაბამისად, მაგალითად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, „ყაზბეგის“ ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტროტუარზე, ლუდის დალევისთვის არავინ დაგაჯარიმებთ. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ კანონპროექტს ხმა თავის დროზე საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა, ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველების“ ლიდერმა, ლუდის მწარმოებელმა გოგი თოფაძემაც მისცა. თოფაძე „ვერსიასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ სანაპიროზე ლუდის დალევის მომხრე არაა და მომავალი წლიდან, ქარხნის ტერიტორიაზე სპეციალურად სანაპიროს „ლუდისტებისთვის“ ე.წ. ღია კაფეები მოეწყობა. აქედან გამომდინარე, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ქუჩაში ლუდის დალევისთვის ადამიანების დაჯარიმება ქართველი მელუდებიის ინტერესში შედის, მით უმეტეს, რომ ლუდის მოყვარულები სამამულო ლუდს, რომელიც ხშირად დასპირტულის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაღალი ხარისხის იმპორტურებულს ამჯობინებენ. თუ ეს ვერსია უტოპიაა, მაშინ, უბრალოდ, საკითხავია, ლუდის მწარმოებელმა დეპუტატმა ლუდის ქუჩაში დალევის აკრძალვის კანონს ხმა რატომ მისცა?

— წინააღმდეგი ვარ, როცა ჩვენი ქარხნის წინ, ტროტუარზე დგებიან, ლუდს შებოლილ თევზთან ერთად მიირთმევენ და სანაპიროს ანაგვიანებენ, თუმცა ეს ტერიტორია ჩვენ არ გვეკუთვნის და აქედან გამომდინარე, ყველაფერი შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გააკონტროლოს; მეორე მხრივ, როცა რამდენიმე თბილისელი საკუთარი კორპუსის წინ შეიკრიბება ნარდის სათამაშოდ, ან ფეხბურთსა და პოლიტიკაზე სასაუბროდ და ამავდროულად, ლუდსაც მიირთმევს, ეს ხალხი არ უნდა შევავიწროვოთ, თუმცა იგივე რუსთაველზე, ან თუნდაც სანაპიროზე, ლუდის დალევა მიუღებელია და ეს უნდა აღვკვეთოთ. მეტსაც გეტყვით, იქიდან გამომდინარე, რომ მომხმარებლები არ დავკარგოთ, უკვე მივიღეთ ზომები და მომავალი წლის გაზაფხულზე, ჩვენი ქარხნის ტერიტორიაზევე მოვაწყობთ ცივილურ ღია კაფეს. დაახლოებით, 20-მდე მაგიდას, სკამებს დავდგამთ, შესაბამისად, ვისაც ლუდის იქვე დალევა მოუნდება, ჩვენი ქარხნის ტერიტორიაზევე მირთმევს და სანაპიროც აღარ დანაგვიანდება. გეთანხმებით, გადაჭარბება დაუშვებელია, არ შეიძლება, კაფედან გამოსულ ადამიანს, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ 2 ჭიქა „ვისკი“ დალია, ეგრევე მივარდე და 150 ლარით დააჯარიმო, ისიც მიუღებელია, ადამიანებს საკუთარი კორპუსის წინ აუკრძალო დალევა. მიმაჩნია, რომ კანონი რადიკალურია, ჯარიმა კი მკაცრი: ორი ჭიქა სასმელის გამო 150 ლარით დაჯარიმება გაუმართლებელია. ადამიანები ნელ-ნელა უნდა შევაჩვიოთ ამ ტიპის ცვლილებებს, რადგან ქართველ კაცს ყოველთვის ჰქონდა შინაგანი კულტურა და, თუ განუმარტავ, რომ ქალაქის ცენტრში კი არა, უმჯობესია, რომელიმე კაფეში ან ბარში დალიოს, ასეც მოიქცევა. ხალხს უნდა ავუხსნათ, რომ ცივილური ქვეყანა ვართ და სანაპიროზე, ზედ ტროტუარზე ლუდის დალევა, იქვე თევზის გარჩევა და მერე, ამ ტერიტორიის დანაგვიანება მიუღებელია.

— ბატონო გოგი, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები მალე დაიწყებენ საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტის განხილვას. ეს ცვლილებები ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად დროულია?

— ბიზნესის დასაცავად და ქართველი მეწარმეების წარმატებისთვის, წლის განმავლობაში ბევრი ცვლილება უნდა განვახორციელოთ. ამ მხრივ, საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პაკეტი მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ვინმე თვლის, რომ მაინც და მაინც იმპორტიორებს უნდა გავუწიოთ ანგარიში და არა — ადგილობრივ მეწარმეებს, ეს მიუღებელია. „აწარმოე საქართველოში“ ხომ საინტერესო იდეაა და სწორედ ამაზეა საუბარი, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვაწარმოოთ საქართველოში და ყველანაირი პირობა შევუქმნათ ქართველ მწარმოებელსა და ფერმერს, რათა საკუთარი პოტენციალი განავითაროს. ხშირად, ადგილობრივ ბაზარზე უხარისხო პროდუქცია შემოდის, არადა, ქართული პროდუქცია, როგორც ხარისხით, ასევე — პოლიტიკურად, უფრო მისაღებია. ამიტომ ნებისმიერი ხელისშემწყობი ღონისძიება, რასაც ქართველი ფერმერებისთვის ვაკეთებთ, გამართლებულია.

— ამ ცვლილებების მიხედვით, ჯარიმებისგან თავისუფლდებიან ის კომპანიები და მეწარმეები, რომლებსაც საგადასახადო დავალიანება 2005 წლის 1 იანვრამდე და 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოეშვათ, რასაც ეკონომისტებსა და თქვენს ოპონენტებში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა...

— ეს ცვლილებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ის, რაც წინა ხელისუფლების დროს, 9 წლის განმავლობაში ხდებოდა, დაუშვებელია. გაიხსენეთ მათი განცხადებები, რომ არ უნდა გვქონდეს სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები, მათ შორის, საკონსერვო ქარხნები. ეს წინა ხელისუფლების მავნებლური პოლიტიკა იყო და უნდა შევცვალოთ. ის გადაწყვეტილებები, რასაც 2005 წლამდე ან თუნდაც შემდგომ წლებში იღებდნენ, ობიექტური არ ყოფილა, რადგან ამ გადაწყვეტილებებით, საქართველოს მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის ხარჯზე უნდა ეცხოვრა და ადგილობრივი პროდუქცია არ უნდა შექმნილიყო, ეს კატასტროფა იყო. ხალხის დასაქმების სხვა საშუალება არ არსებობს, გარდა იმისა, რომ სოფელი და საკუთარი, ადგილობრივი მრეწველობა განვავითაროთ. გაიხსენეთ ბენდუქიძის იდეა, რომ სოფელი არ უნდა გვქონოდა, ამიტომ იმ პერიოდში ბევრი უსამართლობა ხდებოდა. ბევრი ჩემი კოლეგა ბიზნესმენი, რა თქმა უნდა, მაშინაც არ იხდიდა გადასახადებს, რაც ასევე მიუღებელია, რადგან გადასახადების გარეშე, სახელმწიფო ვერ იარსებებს, მაგრამ გადაწყვეტილებები, რომლებიც არაობიექტური იყო, ცხადია, უნდა გაუქმდეს. ამისთვის კი შეღავათი ანუ ჯარიმის ჩამოწერაა საჭირო, რასაც მივესალმები. ის აჟიოტაჟი, რაც ამ კანონპროექტის გამო ატყდა, იგივეა, რაზეც ჩვენი ოპონენტები პარლამენტში გაუთავებლად საუბრობენ, რომ თურმე, რა ცუდია ბიძინა ივანიშვილი ან ირაკლი ღარიბაშვილი. ასე არ არის, ბატონებო, რადგან ქვეყანაში პროცესები ლოგიკურად მიმდინარეობს და ეს ქაოსიც დალაგდება. ხომ თქვა ივანიშვილმა, რომ პირველი ორი წელი რთული იქნება, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, საქართველო ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა გახდებაო, ასეც იქნება. რაც შეეხება საგადასახადო ცვლილებების პაკეტს, თუ ამას განვლილი 9-წლიანი უბედურების ფონზე განვიხილავთ, თავისი ლოგიკა აქვს.

— არაერთხელ გითქვამთ და ახლაც ბრძანეთ, რომ სახელმწიფომ ადგილობრივი პროდუქციის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, მაგრამ ეს იმპორტის ხელოვნურად შეზღუდვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. უხარისხო იმპორტირებული საქონელი არავის გვინდა, თუმცა იმპორტიცა და ექსპორტიც თანაბარ პირობებში უნდა იყოს და ამას ევროკავშირიც მოითხოვს. უკაცრავად, მაგრამ ამ ფონზე, თქვენი ხისტი განცხადებები უხერხულ მდგომარეობაში არ გვაყენებს?

— ჯერ ერთი, თუ დავამტკიცებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქცია ფარავს ქვეყნის მოთხოვნებს, ევროკავშირი გვაძლევს უფლებას, რომ იგივე სახის იმპორტირებული პროდუქტი მკაცრად დავბეგროთ. წარმოიდგინეთ ადგილობრივი მეწარმე, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა, ბიო-პროდუქტს აწარმოებს, ამ დროს კი, იმპორტის გზით, ქვეყანაში გენმოდიფიცირებული ან სხვადასხვა დანამატებით გაჯერებული პროდუქცია შემოდის, რომელიც კარგადაა შეფუთული და უფრო იაფია. ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ თავისი პრინციპული ნება ზუსტად ისე უნდა გამოიჩინოს, როგორც ევროკავშირი ითხოვს ჩვენგან, რომ მის ბაზარზე შეზღუდული რაოდენობის ნიორი შევიტანოთ. ყველაფერი ეს უნდა გავითვალისწინოთ და ასე დავიცვათ ქართველი მეწარმეების ინტერესები. პრინციპულები უნდა ვიყოთ, თორემ რომელი ევროპული ქვეყანა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ იქაური, ადგილობრივი პროდუქცია იმპორტით ჩავანაცვლოთ? მაგალითად, დანია, რომელიც თევზით მთელ ევროპას ამარაგებს, გერმანიას ან საფრანგეთს მისცემს უფლებას, რომ თევზი დაუბეგრავად შეიტანონ? თანასწორუფლებიანი პარტნიორობის პრინციპიდან უნდა გამოვიდეთ, მერე რა, რომ დღეს ღარიბი ქვეყანა ვართ?! მიუხედავად ამის, ჩვენი პოზიციები პრინციპულად უნდა დავიცვათ. სამწუხაროდ, დღეს იმპორტირებული პროდუქტის ხარისხს არ ვამოწმებთ, არც ის ვიცით, რამდენ კარცეროგენს შეიცავს ესა თუ ის პროდუქტი, რამდენი კონსერვანტია, რამდენი ალერგენი აქვს, არადა, სწორედ ამას ებრძვიან ევროპაში, ჩვენ კი ვერც ვამოწმებთ. ეს საკითხი მოსაგვარებელია და მერე ასეთი პრობლემები აღარ იქნება, რაც წინა ხელისუფლების მავნე პოლიტიკას ემსახურებოდა, რომლითაც ადგილობრივი წარმოება განადგურდა. როცა პრობლემას ამ კონტექსტში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ბევრი საშუალება გვაქვს, რათა ხმა ამოვიღოთ. შენს ქვეყანაში შემოტანილი პროდუქციის ხარისხს რომ არ ამოწმებ, ეს ქვეყნის დამცირებაცაა. ერთ მაგალითს გეტყვით: თვენახევრის წინ, ევროპაში სკანდალი ატყდა, რადგან ლატვიიდან სლოვენიაში შეიტანეს „შპროტი“, რომელშიც მავნე კარცეროგენი დასაშვებ ნორმაზე 14-ჯერ მეტი იყო. იმავე პერიოდში, ლატვიური „შპროტის“ იგივე პარტია ჩვენთანაც შემოიტანეს, ოღონდ სლოვენიაში 4 ვაგონი შევიდა, საქართველოში — 2 ტრაილერი. ჩვენ ხმის ამოღებისა და კონტროლის გარეშე გავასაღეთ ეს მავნე პროდუქტი, სლოვენიამ კი სკანდალი ატეხა, რის გამოც ლატვია დაჯარიმდა და სლოვენიაში იმპორტირებული „შპროტი“ უკან გაიტანა. ანალოგიური მდგომარეობაა სხვადასხვა კონსერვის, რძის ნაწარმისა და თუნდაც ძეხვეულის იმპორტის შემთხვევაშიც, ამიტომ კონტროლის მექანიზმი რომ არ არსებობს, უცხოელები საქართველოს „ბაბუინების“ ქვეყნად აღიქვამენ და შესაბამისად, მთელი ნაგავიც სწორედ ამ ტიპის ქვეყნებში შედის. აქედან გამომდინარე, სურსათის ხარისხის კონტროლი უნდა აღვადგინოთ და, პირველ რიგში, სწორედ საბაჟოზე. ამისთვის შესაბამისი ლაბორატორიებიც გვაქვს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენი მოსახლეობა მავნე პროდუქტების იმპორტისგან დავიცვათ. მხოლოდ გენმოდიფიცირებულ პროდუქციას არ ვგულისხმობ, უამრავი დანამატი, კონსერვანტი და კარცეროგენია, რომელსაც კვების პროდუქციაში ურევენ. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, კიბო გაახალგაზრდავდა, რასაც უნდა ვებრძოლოთ. ცივილური სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ თავის ხალხს უხარისხო პროდუქცია შესთავაზოს. აქედან გამომდინარე, ვალდებულები ვართ, ხელი შევუწყოთ ადგილობრივი, ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას!

ვერსიანიუსი

თბილისში პარლამენტის შენობის რემონტი 23 მილიონამდე დაჯდა

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა.

„ეს შენობა რომ არ ყოფილიყო იავარქმნილი და ნაჯახით დაჩეხილი, მისი გარემონტება, ცხადია, ბევრად ნაკლები დაჯდებოდა. ახლა, თუ არ ვცდები, საუბარია 22-23 მილიონ ლარზე, რაშიც შედის რემონტიც, ავეჯიც, აპარატურაც, დარბაზების მოწყობაც, სადაც ყველაფერი იყო დაჩეხილი“, — განაცხადა ხმალაძემ.

რაც შეეხება პარლამენტის მიერ ავტოპარკირებისთვის დაგეგმილი ადგილების შეძენას და ამასთან დაკავშირებით, ოპოზიციის უკმაყოფილებას, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, ეს კანონის ფარგლებში ჯდება.

„ეს სავსებით ჯდება კანონის ფარგლებში. აქ არანაირი პრობლემა არ არის. ეს შენობა არის პარლამენტის ბალანსზე და არც ერთ კანონს არ აუკრძალავს პარლამენტისთვის ამ შენობაში მთელი რიგი სამუშაოს გამართვა. ამ პარლამენტში ყოველთვის იყო ავტომანქანების გაჩერების პრობლემა – ჩვენ გვქონდა ასეთი არჩევანი: ან იჯარით უნდა აგვეღო ადგილები, ან გვეყიდა. მარტივი ბუღალტერიით იქნა დათვლილი და ყიდვა იყო გაცილებით რენტაბელური, ვიდრე იჯარა“, — აღნიშნა ხმალაძემ, რომლის ინფორმაციითაც, პარკირებისთვის ადგილების შეძენა მილიონ 150 ათასი ლარი ჯდება.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი კვირიკაშვილმა თურქულ „ტავს“ სააკაშვილისდროინდელი ხელშეკრულების პირობები შეუცვალა

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, დასრულდა მოლაპარაკება თურქულ კომპანია „ტავთან“, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ზოლს წელიწადნახევარში ააშენებს. დეტალების დასაზუსტებლად, საქართველოს დელეგაცია თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფება, რომელიც კვირის ბოლოს ჩამოვა. თუმცა დელეგაციის ჩამოსვლამდეც ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობა თურქულ კომპანიას, რომელმაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ააშენა, ხელშეკრულებას 2038 წლამდე არ გაუგრძელებს.

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი დაზიანებულია. საქართველოს მთავრობასა და თურქულ კომპანია „ტავს“ შორის, ხელშეკრულება 2005 წელს გაფორმდა, რომელიც ძალაში 2027 წლამდე უნდა ყოფილიყო. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, „ქართულ ოცნებას“ დახვდა მემორანდუმი, რომელიც ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ასაშენებლად, ამ ხელშეკრულების 10 წლითა და 11 თვით, 2038 წლამდე გაგრძელებას ითვალისწინებდა, თუმცა საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა თურქულ კომპანიასთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, მიაღწია შეთანხმებას, რომლითაც „ტავი“ ასაფრენ-დასაფრენი ზოლის კაპიტალურ რემონტს ხელშეკრულების ვადის გაგრძელების გარეშეც, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განახორციელებს.

გიორგი კვირიკაშვილის ამ განცხადებას და ზოგადად, ქართული დელეგაციის წარმატებას, რასაც თურქულ კომპანიასთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად მიაღწია, საინტერესო პრეისტორია აქვს: 2013 წლის 17 მაისს, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა მედიის წარმომადგენლებთან ახალი ხელისუფლების შვიდთვიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა. პრესკონფერენციის დაწყებამდე, ჟურნალისტებს ცალკეული სამინისტროების შედეგების ჩამოთვალი გადმოგვცეს, სადაც ყველა სტრუქტურის შედეგი იყო ასახული, გარდა — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსი.

2013 წლის 17 მაისამდე, მედიის მთავარი თემა „ტრაქტორების სკანდალი“ და ამის გამო, სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრის, დავით კირვალიძის გადადგომა იყო. სწორედ ყველაფერ ამის გათვალისწინებით, „ვერსიის“ შეკითხვა მთავრობის ეკონომიკური გუნდის შეფასებას, კონკრეტულად კი სუსტ რგოლად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აღიარებას ეხებოდა, რამაც ბიძინა ივანიშვილი გააღიზიანა. ამის გამო, ექსპრემიერსა და „ვერსიას“ შორის მცირე კამათიც გაიმართა, რაზეც ვრცლად უკვე ვწერდით. კამათის მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის ეკონომიკური გუნდი მაინც შეაფასა, რაც შეეხება გიორგი კვირიკაშვილს, სწორედ იმ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ეკონომიკის მინისტრმა თურქულ კომპანია „ტავთან“ მოლაპარაკება დაიწყო:

„რაც შეეხება ეკონომიკურ გუნდს, ვფიქრობ, ძალიან წარმატებული გუნდი გვყავს და მათ რიცხვშია გიორგი კვირიკაშვილიც. გუშინ (2013 წლის 16 მაისს) მქონდა თათბირი ეკონომიკურ გუნდთან, თათბირის შინაარსს მოგახსენებთ და გაიგებთ, როგორი ფართოა საკითხების სპექტრი, რომლითაც დაკავებულია ეკონომიკის სამინისტრო. ჩვენს აეროპორტში, რომელსაც თურქული კომპანია „ტავი“ მართავს, პრობლემაა ასაფრენი ზოლი, სადაც კატასტროფული მდგომარეობაა. თვითონაც დავფრინავ და რამდენჯერმე დაენარცხა თვითმფრინავი, ისეთი ხმა აქვს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წახვიდეთ, მსგავსი ზოლებით აღარ სარგებლობენ, ასფალტი იყრება და შენობაც არ არის იდეალურ პირობებში. ხანგრძლივი თათბირი გვქონდა, მაგრამ ეს საკითხები რთული დასალაგებელია, გიორგი კვირიკაშვილი მუშაობს იმ საკითხზეც, რაც თბილისის ზღვაზე, ჩინელების დასახლების მშენებლობას უკავშირდება. შრომატევადი და რთული საქმე აქვს გიორგის, ძალიან წესიერი და წარმატებული კაცია, საერთოდ, ძალიან კარგი სამინისტროები გვაქვს, მე თითოეული მინისტრი მიყვარს, მათ რიცხვში გიორგიც“.

მაშინდელი პრემიერ-მინისტრის განმარტების საფუძველზე, „ვერსია“ საქართველოს მთავრობასა და „ტავ-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების დეტალებით დაინტერესდა, კაბალური ხელშეკრულებისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტენდერის დეტალებზე კი ვრცელი ჟურნალისტური მოკვლევა ჩაატარა, რომელიც „ვერსიაში“ 2013 წლის ივნისში გამოქვეყნდა.

წინა ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსნის ხელშეწყობით, „ტავ-ჯორჯია“ საქართველოს ავიაბაზარზე მონოპოლისტ კომპანიად ჩამოყალიბდა და კორექტულად რომ ვთქვათ, კომპანიის თურქმა მფლობელმა მილიარდებიც ჩაიჯიბა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტენდერს, რომელიც 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სკანდალური ისტორია ჰქონდა: ტენდერამდე ერთი წლით ადრე, თბილისის აეროპორტით ცნობილი გერმანული კონსორციუმი „ტაკომ გლორია პივდენი“ ანუ „ტაკომი“ დაინტერესდა, რომელსაც, როგორც იმხანად ითქვა, აწ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ლობირებდა. სხვათა შორის, გერმანულ კონსორციუმს აეროპორტების მშენებლობის გამოცდილება ჰქონდა, როგორც დასავლეთ, ასევე — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. თურქულ კონოსორციუმს კი, პრეზიდენტის დედა გიული ალასანია ლობირებდა. ამასთან, მაშინდელ პრესაში პრეზიდენტის ბიძის, თემურ ალასანიას ინტერესზეც წერდნენ, მაგრამ „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ასეთი ინტერესი გიული ალასანიას ჰქონდა, რაც მოგვიანებით დადასტურდა კიდეც: ამჟამად გიული ალასანია ფლობს შავი ზღვის საერთაშორისო ინსტიტუტს და, „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, თურქებს ასობით ჰექტარი მიწაც სწორედ ექსპრეზიდენტის დედის ლობირებით აჩუქეს.

მოკლედ, აეროპორტის ტენდერთან დაკავშირებით, ზურაბ ჟვანიასა და გიული ალასანიას ინტერესები გადაიკვეთა და გასაკვირი არ არის, რომ ტენდერში უპირატესობა პრეზიდენტის დედის პროტეჟე კომპანიას მიანიჭეს, ოღონდ მაშინ ზურაბ ჟვანია უკვე გარდაცვლილი იყო... „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციითვე, გერმანულმა კომპანიამ მაშინდელ პრემიერ-მინისტრს აეროპორტის უფრო დახვეწილი დიზაინი შესთავაზა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ზურაბ ჟვანია თბილისის აეროპორტის ტენდერს გრძელვადიანი სტრატეგიის ჭრილში განიხილავდა. მას თურქულ კომპანიაზე აეროპორტის გადაცემა გამართლებულად არ მიაჩნდა, ვინაიდან საფრთხეს ხედავდა, რომლითაც საქართველო თურქული საჰაერო სივრცის „აპენდიქსი“ გახდებოდა, რაც რეალურად დადასტურდა კიდეც.

როგორც სააკაშვილის მთავრობაში აცხადებდნენ, თბილისს ისეთი აეროპორტი სჭირდებოდა, რომელიც საათში 1 500 მგზავრს გაატარებდა, სინამდვილეში კი, აეროპორტი საათში 87-90 მგზავრს ატარებს. თანამედროვე აეროპორტის მშენებლობა 62 000 000 აშშ დოლარი დაჯდა და, ექსპერტების შეფასებით, მშენებელ კომპანიას მართვის უფლებით, საკმაოდ კაბალური პირობებით გადასცეს. მას შემდეგ, რაც თურქულმა „ტავ-ჯორჯიამ“ ახალი აეროპორტი ააშენა, რომელსაც სახურავი რამდენჯერმე გადაეხადა და მშენებლობის დროს მუშებიც დაშავდნენ, ძველი აეროპორტი, რომლის რეკონსტრუქცია შევარდნაძეს 15 000 000 აშშ დოლარი დაუჯდა, გაუქმდა.

თბილისის აეროპორტის ტენდერი 2005 წლის დასაწყისში გამოცხადდა, სადაც თურქული „ჩელების“, ლუქსემბურგული „ჯი-თი-ეს“-ისა და ამერიკული „ეი-ენდ-ჯეი“-ს კონსორციუმმა გაიმარჯვა, თუმცა ამ კომპანიებს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო, კონსორციუმს მალე ლუქსემბურგული კომპანია გამოეყო, რის გამოც გამარჯვებულ კონსორციუმს, რომელსაც „ჩელები“ წარმოადგენდა, ფინანსური პრობლემები შეექმნა და დადგენილ ვადებში საკუთარი გამარჯვება ფინანსური გარანტიით ვეღარ გაამყარა. სააკაშვილის მთავრობა იძულებული გახდა, ამ კომპანიასთან ურთიერთობა გაეწყვიტა. ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ აეროპორტის მშენებლობის უფლება ტენდერში მონაწილე და თავის დროზე დაწუნებულ სხვა თურქულ კომპანიას ანუ „ტავ-ურბანს“ გადააბარა — „ტავთან“ კონტრაქტი 2005 წლის 6 სექტემბერს გაფორმდა.

„ტავ-ურბანმა“, რომელმაც საქართველოში „ტავ-ჯორჯია“ დააფუძნა, სახელმწიფოსთან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, თბილისის აეროპორტის მართვის უფლება 20-წლიანი ვადით მიიღო. კონტრაქტითვე, თურქულმა კომპანიამ თბილისის აეროპორტის მშენებლობაზე 62 000 000 აშშ დოლარი დახარჯა, ბათუმის აეროპორტზე კი — 28 500 000 აშშ დოლარი. აეროპორტების მშენებლობისთვის თურქულმა „ტავ-ჯორჯიამ“ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისა („იბიარდი“) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან 27 000 000-27 000 000 აშშ დოლარის სესხი აიღო.

წყარო გვიამბობს, რომ ეს სესხი, საბოლოო ჯამში, ისევ სახელმწიფოსა და მგზავრების გადასახდელი გახდა. მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში ახალი აეროპორტის აშენება დადგა, გაიზარდა მოსაკრებელი, რაც თითო ბილეთზე 22 აშშ დოლარია. ნებისმიერი მგზავრი, რომელიც თბილისის აეროპორტიდან მიფრინავს, დამატებით 22 დოლარს იხდის და ეს თანხა აეროპორტის მმართველ კომპანია „ტავ-ჯორჯიას“ რჩება. თუ თბილისის აეროპორტი საათში 1 500 მგზავრითაა დატვირთული, გამოდის, მხოლოდ მოსაკრებლიდან თურქული კომპანია უზარმაზარ ფულს იღებს.

გარდა ამისა, 22-დან დილის 6 საათამდე, არათურქული ავიაკომპანიებისთვის აეროპორტის მიერ გაწეულ მომსახურებას 25% ემატება, თურქული კომპანიებისთვის — 10%. მაგალითად, იმ ბოინგების ტექნიკური მომსახურება, რომლებიც დღეს ყველაზე ხშირად დაფრინავენ თბილისის აეროპორტიდან, არათურქულ კომპანიას 765 დოლარი უჯდება, თურქულს კი — 650. თუ არათურქული ავიაკომპანიისთვის მგზავრთა მომსახურება 415 აშშ დოლარი ღირს, თურქული კომპანიისთვის ეს მომსახურება მხოლოდ 340 აშშ დოლარია.

რაც შეეხება ახალი ასაფრენი ზოლის აშენებას, სააკაშვილის ხელისუფლებამ „ტავ-ჯორჯიას“ ახალი ხელშეკრულება გაუფორმა და თბილისის აეროპორტის 20-წლიანი მმართველობა კიდევ 10 წლითა და 11 თვით, 2038 წლამდე გაუგრძელა. გიორგი კვირიკაშვილმა „ტავ-ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკება სწორედ ამ დეტალთან დაკავშირებით წამოიწყო, რომელიც უკვე დასრულდა. შესაბამისად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ზოლს თურქული „ტავი“ ხელშეკრულების ვადის გაუგრძელებლად, დაახლოებით წელიწადნახევარში ააშენებს, თან ისე, რომ საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა ნაკადის მიმოსვლას ხელი არ შეეშლება.

საქართველოს მორიგი წარმატება ევროპაში

ღუდმა „ნატახტარი“ ევროპაში აღიარებული ხარისხი და ოქროს მედალი მოიპოვა

Monde Selection — ხარისხის საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც 1961 წელს დაარსდა. ამ დროიდან მოყოლებული, იგი ადგენს და აფასებს ისეთი პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმებს, როგორებიცაა: ღვინო, მაღალალკოჰოლური სასმელი, ლიქიორი, ლუდი, წყალი, გამაგრილებელი და უალკოჰოლო სასმელი, საკვები პროდუქტი, დიეტური და ჯანმრთელობის პროდუქტი, კოსმეტიკა და თამბაქო.

ამ კონკურსზე პროდუქტს ორი მიმართულებით ამოწმებენ: ორგანოლეპტიკურად, ანუ გემოვნური თვისებების მიხედვით და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზებით, რაც პროდუქტის შემადგენლობისა და ეტიკეტის შესაბამისობის დადგენას გულისხმობს. ობიექტური ჟიურის შემადგენლობაში 70 პროფესიონალია გაერთიანებული.

2014 წელს, კონკურსის ფარგლებში 88 ქვეყნის სხვადასხვა კატეგორიის 3 163 პროდუქტი იყო წარდგენილი. მათ შორის, საქართველოდან კონკურსში მონაწილეობდა ლუდი „ნატახტარი“, რომელმაც ოქროს მედალი მიიღო. დაჯილდოების ცერემონიალი ბორდოში გაიმართა.

„Monde Selection-ის ოქროს მედალი იმის დასტურია, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქტი, ქართული ბრენდი, საერთაშორისო ხარისხის ინსტიტუტმაც აღიარა და შესაბამისად, ამაყად უჭირავს პოზიცია ევროპისა თუ მსოფლიოს ცნობილ ბრენდებს შორის. ჩემი აზრით, ნებისმიერი ქართველისთვის ეს საამაყო ფაქტია. პირადად ჩემთვის, ორმაგად საამაყოა ლუდი „ნატახტარის“ აღიარება, რადგან მის შექმნაში, დიდ გუნდთან ერთად, მეც მოკრძალებული წვლილი მაქვს შეტანილი. ყოველთვის სასიამოვნოა იმის დადასტურება, რომ რასაც აკეთებ, სწორად და ხარისხიანად აკეთებ“, — ამბობს კომპანია „ნატახტარის“ ტექნიკური დირექტორი, გიორგი ქოქიაშვილი.

13 წლის ბიჭმა ძმის მკვლელი სასამართლო დარბაზში ხანჯლით დაჭრა

მუშნის შურისძიება და ციხეში გაცარებული 29 წელი

პატიმარი №0578

როგორც წესი, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ქართველი პატიმრები, გათავისუფლების შემდეგ, დეპორტს ექვემდებარებოდნენ — ციხის კართან სამართალდამცავები ხვდებოდნენ, აეროპორტში მიჰყავდათ და სამშობლოში ამგზავრებდნენ. წინა ხელისუფლებას, სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ისიც ახასიათებდა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან დეპორტით გამოშვებულ ყოფილ პატიმრებს ტრაპთან სამართალდამცავებს ახვედრებდა და, უმრავლეს შემთხვევაში, „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირის ბრალდებით, აქაურ ციხეს დამატებით შვიდი წლით „ახეხინებდა“...

„მუშნი მოიყვანეს, მუშნი“, — რუსთავის №17 ზონას ჩურჩულმა გაზაფხულის ერთ დილას გადაუარა. პრაქტიკულად, ყველა პატიმარი ეზოში გამოვიდა, რათა ახლადმოყვანილი და ლეგენდადქცეული მუშნი კ. ენახა. ყველა მოწიწებით უყურებდა 50 წლამდე კაცს, რომელიც აღნაგობით დევს ჰგავდა — უზარმაზარი სხეული მსუბუქად მოჰქონდა და ხშირი, ხუჭუჭა თმა მხრებზე ფაფარივით ეყარა.

„ეს კაცი ზარანდიას არ ჰგავს და სხვა ლეგენდარული მუშნი მე არ ვიცი, ვინ არის?!“ — პატიმარმა №0578-მა ზონის მაყურებელს ჰკითხა და, როცა მისი გაოცებული თვალები დაინახა, ახალ პატიმარს უფრო დიდი ინტერესით დააკვირდა.

„როგორ, შენ მუშნი არ იცი?! შენი „ზემლიაკია“, ის მუშნია, 90-იან წლებში რომ...“, — მაყურებელმა წინადადება ვეღარ დაამთავრა, რადგან მუშნიმ ხმა ამოიღო და მაყურებელი მოიკითხა.

მუშნიმ 67-ე საკნის კარი შეაღო, იქაურობას თვალი მოავლო და №0578 იკითხა. დამხვდური ნარიდან მშვიდად წამოდგა, „პრახოდში“ მიიპატიჟა და ჩაი შესთავაზა. მუშნი ნარზე ჩამოჯდა, ჩაი მოწრუპა და ღიმილით უთხრა — მე და შენ ნათესავები ვართ, იცი?!

„ვიცი, მაგრამ სიმართლე გითხრა, მკვდარი მეგონე. გამოგიტირეს კიდეც შენებმა და მამაშენს, აგერ უკვე მერამდენე წელია, წვერი არ გაუპარსავს. გასვენებასაც აპირებდნენ, მაგრამ მამაშენი უარობდა, შინაგანად ვგრძნობ, რომ ცოცხალიაო და გამოჩნდი კიდეც“, — გაუღიმა №0578-მა.

„მამაჩემმა იცოდა, რომ ცოცხალი ვიყავი. დედაჩემი კი იცი, რასაც გადაჰყვა და მამაჩემიც იმ წვერით ჩემს ძმას გლოვობდა, პარალელურად, ვითომ მე მიფრთხილდებოდა და მფარველობდა“, — გაიღიმა მუშნიმ.

„იცი, სულ მაინტერესებდა, რა მოხდა რეალურად. სიმართლე მხოლოდ შენ იცი, მამაშენს ამის კითხვას აბა, ვინ გაუბედავდა. არ გინდა მომიყვე? დროც გავა, მოსაყოლიც ბევრია“, — ღიმილით უთხრა პატიმარმა, მაგრამ როცა მუშნის სახეს შეხედა, ღიმილი მაშინვე მოსხიპა. მუშნიმ ჩაის ჭიქა დადო, კარგადო, მიუგდო და საკნიდან გავიდა.

კვირა კვირას მისდევდა, მუშნის ხან მაყურებლობა შესთავაზეს, ხან — რა და ხან — რა, მაგრამ არაფერში ერეოდა, ცდილობდა, ფორმაში ყოფილიყო, ვარჯიშობდა, თითქმის არავის ეკონტაქტებოდა და დღეში ერთხელ №0578-ს სტუმრობდა, ჩაის მოწრუპავდა, ათასგვარ სისულელეზე საუბრობდა და საკუთარ საკანში ბრუნდებოდა.

ერთ დღეს, 67-ე საკანში უჩვეულო ფუსფუსი ატყდა. პატიმრები სუფრას შლიდნენ და მაგიდაზე ტკბილეულს აწყობდნენ. ციხის მაღაზიაში ძეხვი და ყველიც იყიდებოდა, მაგრამ მაგიდაზე არცერთი არ იდო. სამაგიეროდ, ნამცხვარი ბლომად ეყარა და ბოთლებით, სპეციალურად ამ დღისთვის დამზადებული ჩაიც მრავლად იყო. რა ხდებოდა, არავინ იცოდა, ერთი ეგ იყო, სუფრის გაშლა №0578-ის ინიციატივა გახლდათ და ყველაფერი მან იყიდა. ნაშუადღევს, საკანში მაყურებლები და „ბლატატა“ შეიკრიბა, მუშნიც იქ იყო. №0578-მა ჩაის ჭიქა ასწია, მუშნის შეხედა და შენი ძმის ხსოვნა იყოს, დღეს მისი გარდაცვალების დღეაო...

მუშნიმ თავი დახარა, ჩაის ჭიქას წაეტანა, უხმოდ დალია და დადგა. ყველამ რამდენიმე სიტყვით მიუსამძიმრა, მერე კი კამერიდან ყველა გავიდა და მხოლოდ ორნი დარჩნენ. მუშნის თავი არ აუწევია, ისე დაიწყო:

„მაშინ 13 წლის ვიყავი. ჩემი ძმა თბილისში სწავლობდა და მამაჩემმა ძროხა გაყიდა, მისთვის ტანსაცმელი რომ ეყიდა. ისეთი ჯინსი თბილისში კი არა, მგონი, საბჭოთა კავშირში არავის ეცვა. შევარდნაძესთან სტუმრად სომხეთის დელეგაცია იყო ჩამოსული. პარლამენტარისა და მინისტრების შვილები. თბილისში გაისეირნეს და ჩემი ძმა დაინახეს თავის საცოლესთან ერთად. შარვლის გახდა დაუპირეს. როგორი საქმეა, კაცს რომ შარვლის გახდას გეტყვიან და თან საცოლესთან ერთად. ჩხუბი ატყდა და ჩემი ძმა დანით მოკლეს...

სასამართლო აქ გაიმართა, მაგრამ ვიცოდით, რომ მეორე სხდომაზე საქმეს სომხეთი წაიღებდა, ჩაწყობილი იყო, ამიტომ მკვლელის მოკვლა პირველ სხდომაზე გადაწყდა. არაფერი გამოვიდა, მამაჩემიც, ბიძებიც, ბიძაშვილებიც გაჩხრიკეს, ფეხსაცმელიც კი გახადეს და ისე შეუშვეს დარბაზში. ყველაფერი ჩამოართვეს და მოკვლას ვინ ჩივის, ქვის სროლაც ვერ მოხერხდა.

მეორე სასამართლო ორ კვირაში ჩაინიშნა და ეს იყო ბოლო შანსი. შინ მსჯელობა დაიწყეს, რა და როგორ ექნათ. ბოლოს მამამ თქვა, ყველა გაჩხრიკეს, ქალებიც კი, მაგრამ მუშნი არ გაუჩხრეკიათ და ხანჯალი მაგან უნდა შეიტანოსო. იქ ვიყავი და ახლაც მახსოვს, ყურებში კივილისმაგვარი ხმა რომ ჩამესმოდა... ორი კვირის შემდეგ ხანჯალი მე მქონდა და სასამართლო დარბაზის წინ ვიდექი. იქ რომ შევიდოდით, მამაჩემის გვერდით უნდა დავმჯდარიყავი და ხანჯალი მამისთვის მიმეცა. შევედით, მაგრამ არ ვიცი, რატომ, მე პირდაპირ მსჯავრდებულის წინ დამსვეს, მამა და ბიძები კი — ბოლოში. პროცესი დაიწყო, ჩემებს გავხედე და მამის თვალებს წავაწყდი. მერე, კარგად არც მახსოვს, რა მოხდა, იმ შემოღობილ ადგილას, ახლა რომ შუშა აქვს, მაშინ მარტო მოაჯირი იყო, გადავხტი, ხანჯალი ამოვიღე და სანამ ვინმე გონს მოსვლას მოასწრებდა, ჩემი ძმის მკვლელს ექვსჯერ დავარტყი. ტანად მაშინაც არ ვიყავი პატარა, მაგრამ 13 წლის ბავშვი მაინც 13 წლის არის და ალბათ, ძალა არ მეყო, გადარჩა ის ბიჭი და სომხეთში გააქანეს. მე არ დამიჭირეს, არასრულწლოვანი ვიყავი და თან აფექტის შეფასება მისცეს...

ზუსტად ათი წლის შემდეგ, მოსკოვში წავედი სამუშაოდ. მივდივარ ქუჩაში და რას ვხედავ, ეს ჩემი ძმის მკვლელი მანქანიდან გადმოდის, რაღაც ოფისში შედის და გვერდით დაცვა მიჰყვება. გავარკვიე, იმ ოფისის შეფი იყო და მეცამეტე სართულზე იჯდა. რამდენიმე თვე თავდაუზოგავად ვიმუშავე და ყალბი პასპორტი ვიყიდე. სხვა სახელითა და გვარით მიღებაზე ჩავეწერე და როცა მიმიღო, მეცამეტე სართულიდან გადმოვაგდე. დანახვისთანავე მიცნო, პირი დააღო დასაყვირად, მაგრამ ხმა ვერ ამოუშვა. მივედი, თვალებში ჩავხედე და რაღაც ცხოველური სიხარულით თუ აღტყინებით, ტომარასავით ვისროლე... არ ვიცი, რამდენ ხანს აგროვებდნენ ასფალტზე მის ნაწილებს.

სასამართლომ 15 წელი მომისაჯა, მაგრამ ეს მხოლოდ სასჯელი არ იყო. იქ გადარჩენისთვის უნდა მებრძოლა. სომხური დიასპორა მემტერებოდა და არაერთი ჩხუბი მომიხდა. ერთ-ერთი ჩხუბის დროს, კიდევ ერთი კაცი შემომაკვდა და დამიმატეს. საბოლოო ჯამში, 22 წელი მოვიხადე. გამომიშვეს თუ არა, გამომადეპორტეს და ამ იდიოტებმა აეროპორტში „ქურდული წევრობის“ ბრალდებით დამიჭირეს და 7 წელი მომცეს. დღევანდელი დღე მე კი მახსოვს, მაგრამ შენ თუ გახსოვდა, არ მეგონა“...

„ჩემი ძმის გარდაცვალების დღეც არის და ამიტომ მახსოვს, მაგრამ ჩემი ძმა თვეების იყო, ავადმყოფობით რომ დაიღუპა“, — უპასუხა №0578-მა.

მუშნი წინა ხელისუფლების მიერ „ნაჩუქარ“ სასჯელს დღემდე იხდის.

საინგილოში ახალშობილებისთვის ქართული სახელების დარქმევა აკრძალულია!

როგორ ცხოვრობენ, რა პრობლემები აქვთ ჰერეთელ ქართველებს და ვინ ცდილობს თბილისი-ბაქოს ურთიერთობის დაძაბვას

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ჰერეთში (საინგილოში) რამდენიმე დღით მივდივართ. საზღვრის ქართულ მხარეს თურქული ტრაილერების უზარმაზარი რიგი დგას. როგორც ჩანს, ბოლო დროის სასაზღვრო „ბწკენა-ღრენები“ მათაც შეეხო. კაბინებში მოკალათებული თურქი მძღოლები მშობლიური ჰანგებით დროის გაყვანას ლამობენ. ჩვენი „მარშუტკა“ მათ გვერდს უვლის და საზღვარს უახლოვდება.

ქართულ მხარეს მთელი ინფრასტრუქტურა მოუწყვია: პატარა კაფე, მაღაზიები, ტაქსისტების „სტაიანკა“, ფულის გადასაცვლელი პუნქტები. ერთ-ერთში მცირე თანხას აზერბაიჯანულ მანათზე ვცვლით, ნაკლებს მაძლევს — ვითომ შეეშალა ახალგამოჩეკილ კაბლელ (სოფელია ლაგოდეხის რაიონში) აფერისტს. ვითვლი და უკან ვუბრუნებ, კალკულატორზე კარგად დაითვალე-მეთქი; ოხრავს, შემეშალაო. არადა, აქ ხშირია მსგავსი შემთხვევა — ვინც ვალუტის კურსში კარგად ვერ ერკვევა, ადვილად აწაპნიან კუთვნილ თანხას.

საზღვრის აქეთა მონაკვეთს მალე გავდივართ. მეორე მხარეს კი იმხელა გასასვლელია, იძულებითი ფიზიკური ვარჯიში გარანტირებულია, თან არ დაგავიწყდეთ: ჩანთები გვაქვს აკიდებული. გარეგნულად აქაც ცივილიზაციაა. აი, დამოკიდებულებაზე კი რა მოგახსენოთ: მებაჟე ჩანთაში იქექება და ზოგიერთი საგნის დანიშნულებით ინტერესდება, გულში ვფიქრობ, რა შენი საქმეა-მეთქი, მაგრამ აქ ეს ჩვეულებრივი ამბავია, სჯობს, გაჩუმდე და ზედმეტი თავისიტკივილი აირიდო. ჰუნქტიდან გასვლის შემდეგ, ტაქსის რამდენიმე მძღოლის გარდა, არავინ და არაფერი გხვდება. ჩვენი ერთ-ერთი ლეკი თანამგზავრი ჩივის: „შეადარეთ: იქით ყველაფერი იყო, რაც ნამგზავრ ადამიანს შეიძლება დასჭირდეს, აქეთ კი, კაფე-მარკეტს ვინ ჩივის, ხეც არ არის, ადამიანმა გაუსაძლის სიცხეს თავი მაინც რომ შეაფაროს.“

რაიონული ცენტრები გალამაზებულია — ხელისუფლება ამისთვის ფულს არ იშურებს: ახალი თანამედროვე ტიპის საავადმყოფოები, პოლიციის შენობები, გამგეობები, სამხედრო ნაწილები... გარეგნული სილამაზის მიღმა კი, არაპროფესიონალიზმი და ძველი სისტემა იმალება, რომელიც კორუფციის მარწუხებშია მოქცეული. აქ ნებისმიერი — დიდი თუ პატარა საქმე ფულით კეთდება, აღებ-მიცემობის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამ. ეს აქაური „წესი და კანონია“. წლებია, ძველი „გაი“ „პატრულად“ გადაკეთდა, მანქანებიც შესაბამისია, მაგრამ დამოკიდებულება დღემდე „ღრმად გაშნიკურია“: აშკარა დარღვევა გაქვს? — დადგენილი „სტავკა“ გადაიხადე და იარე, როგორც გინდა.

რაც შეეხება ავტომანქანებს, აზერბაიჯანულმა მხარემ სხვადასხვა მიმართულებით მოთხოვნები გაამკაცრა, მათ შორის, 2004 წელს ქვემოთ გამოშვებული უცხოური ავტომანქანების რესპუბლიკაში შესვლასთან დაკავშირებით და ეს მაშინ, როცა ეს ქვეყანა საბჭოური ავტომანქანებითაა სავსე... ვის რაში დასჭირდა თბილისი-ბაქოს ურთიერთობაში არასასურველი ნოტების შეტანა, გაუგებარია. ამას ისიც დაემატა, რომ მოქალაქეთა გადაადგილების რეჟიმი გამკაცრდა: თუ ადრე სამდღიანი სარეგისტრაციო რეჟიმის გადაცილებაზე არ აჯარიმებდნენ, ახლა საზღვრის გადაკვეთა, ჯარიმის გადახდის გარეშე, გამორიცხულია. მსგავსი საპასუხო ნაბიჯების გადადგმა ქართულმა მხარემაც დაიწყო, რაც მთლიანობაში, „სტრატეგიული მეზობლობის“ გაცხადებული პოლიტიკის ჩარჩოებში ძნელად ჯდება.

ასეთი ნაბიჯების მიუხედავად, ადამიანურ დონეზე ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობა ინტენსიურად ვითარდება და ვერაფერი დააბრკოლებს. ზაფხულში, როგორც საინგილოდან, ასევე სხვა აზერბაიჯანული რეგიონებიდან უამრავი დამსვენებელი ჩადის შავი ზღვის სანაპიროზე, სხვა ქართულ კურორტებზე — აზერბაიჯანელებს ქართული სიიაფე იზიდავს. ამასთან, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი რეგიონი გეოგრაფიულადაც თბილისთან მჭიდროდაა დაკავშირებული. განათლების მისაღებად, სამედიცინო მომსახურებისთვის... საქართველოში არამარტო ადგილობრივი ინგილოები, არამედ, თავად აზერბაიჯანელები, ლეკები, ავარები, წახურებიც ჩამოდიან. ბევრი ქართულ ენასაც სწავლობს, რომ ურთიერთობა არ გაუჭირდეს.

სამწუხაროდ, რეგიონში ერთადერთი ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლა-განათლების მისაღებად პრობლემები ექმნება, ჰერეთის ინგილო ქართველობაა. ადგილობრივი ადმინისტრაცია ქართული სკოლა-სექტორების ფუნქციონირებას, განსაკუთრებით ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში, ვერაფრით ეგუება. კვლავ უკანონოდ გაუქმებულია მოსამზადებელი ქართული კლასები; ქართული სახელმძღვანელოების ღიად შეტანა შეუძლებელია და ადგილობრივ პედაგოგებს ყოველი სექტემბრის დასაწყისში ბრძოლა უხდებათ, რომ ქართულ კლასებში ბავშვები მიიღონ, როცა აზერბაიჯანულ სექტორზე ყველანაირი ხელშეწყობაა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ბავშვებისთვის ქართული სახელების დარქმევა კვლავ დიდი ბრძოლით, „ხალხის ჩარევით“ ხერხდება. ზოგიერთი ისეთი სახელის დარქმევაც კი იკრძალება, რომელიც იქაურ „სამაგიდო წიგნშია“ მითითებული, მაგრამ უარს იმ მოტივით ამბობენ, რომ მსგავსი სახელები საქართველოშიც გავრცელებულია (ავთანდილი, თენგიზი, გიორგი და ა.შ). მართლაც, სამარცხვინოა ყველაფერი ეს, მაგრამ რა თქვა აზერბაიჯანულ მხარეზე, როცა ქართულ მხარე კვლავ სირაქლემას პოზაშია — „ვერაფერს ხედავს, ვერაფერს ამჩნევს“. ასეთ უპასუხისმგებლო პოლიტიკას რა მოაქვს, კარგად ვიცით. გამოსავალი დემოკრატიზაციაში, ადამიანის უფლებების დაცვაში, მეზობლებს შორის კოორდინირებული პოლიტიკის გატარებაშია. ამ თვალსაზრისით, აზერბაიჯანი და საქართველო განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე იმყოფება — ერთი ევროკავშირისკენ გაცხადებულ პოლიტიკას ატარებს, მეორე, ყარაბაღის ჩიხის გათვალისწინებით, ლავირებასა და ნავთობდოლარებით თავისგატანას ცდილობს. ასეთ პრობლემურ ვითარებაში, ისტორიულად კეთილმეზობლობისთვის განწირულ მეგობრებს შორის დამატებითი გამაღიზიანებლების შემოტანა კარგს არაფერს მოიტანს, მაგრამ ზღვარი ყველაფერს აქვს — ჰერეთის ქართველების მიზანმიმართული ასიმილაციის მცდელობა დაუშვებელია და ქართული მხარე ამ კუთხით აუცილებლად უნდა გააქტიურდეს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		6						4
	7		1	6		5		
		1	5	4	9			6
8			7		3			
		2		8		4		
			4		2			7
4			2	3	5	6		
		3		9	1		4	
1						2		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					8	3		
				5	1		9	
1				7				5
	8	2			7			
7		5				2		9
			5			6	8	
2				1				3
	3		4	9				
		4	3					

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	5			7	6			
		6				1	9	
	3		4					6
4		8	7	3				
	1						3	
				6	4	9		8
3					7		5	
	8	7				3		
			2	8			7	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

							3	
3	4	2					1	
			4	3	2	9		
8		4	7			5		1
				8				
1		5			9	3		6
		9	1	5	8			
	2					1	9	4
	1							

სწავლა ძილის დროსაც შეიძლება



პროფესორი სიდ კვადიე აცხადებს, რომ ადამიანს სწავლა ძილის დროსაც შეუძლია. თუკი რამე საქმეს ძილის წინ დაიწყებთ, ტვინი მის შესრულებას ღამითაც გააგრძელებს. სწავლულმა ეს მოსაზრება 18 მოხალისის მაგალითზე დაამტკიცა იგი ტვინს აკვირდებოდა. როცა ექსპერიმენტში მონაწილეები ფიზიზლად იყვნენ, ჩანაწერებს ისმენდნენ, სადაც ჩამოთვლიდნენ ცხოველებს ან საგნებს. საჭირო იყო ღილაკზე მარცხენა ხელის დაჭერა, თუ სიტყვა ცხოველს ნიშნავდა, მარჯვენათი კი — საგანს. ამასთან, ტვინის აქტიურობასაც იკვლევდნენ. შემდეგ მონაწილეები ბნელ ოთახში შეიყვანეს და იქ დაწოლისა და ძილის ნება მისცეს. როგორც კი მოხალისეები იძინებდნენ, ირთვებოდა ახალი ჩანაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ღილაკზე ხელს არ აჭერდნენ, ტვინი სავსებით შეგნებულად რეაგირებდა გარედან მიწოდებულ ინფორმაციაზე.

რამოსის „გამაგრილებელი" ხელოვნება

მექსიკელი მხატვრის, კრისტიან რამოსის ნახატები ისეთივე გამაგრილებელია, როგორც პიტნის სურნელი. მიზეზი კი ის არის, რომ 34 წლის შემოქმედი ცნობილი ადამიანების პორტრეტებსა თუ პეიზაჟებს მხოლოდ კბილის პასტის გამოყენებით ქმნის. მისი ცნობილი ნამუშევრებია რობინ უილიამსის, მაილი საირუსის, ემა უოტსონის, ლედი გაგასა და ელტონ ჯონის პორტრეტები — ყველა მათგანი პირის ღრუს ჰიგიენის სხვადასხვა ბრენდული პროდუქტითაა შექმნილი. კბილის პასტით ხატვა გაცილებით ძნელია, ვიდრე წარმოგვიდგენია, რადგან მალე ხმება. რამოსი ერთი ნახატის დასრულებას 200 საათსა და 30 პასტას ანდომებს. შემოქმედს, რომელიც 5 წლიდან ხატავს, ყოველთვის აინტერესებდა უჩვეულო მეთოდებით მუშაობა, ხატვისას კბილის პასტის გამოყენება მისი მოფიქრებულია, დამოუკიდებლად დახვეწა ტექნიკაც. მხატვარი საყოველთაოდ ცნობილია ასევე საოცრად რეალისტური პორტრეტების შექმნით ათასობით შაქარყინულისგან.

ვინ სვამს ყველაზე მეტ ყავას?

სწავლულებმა გამოიკვლიეს, რომელი პროფესიის წარმომადგენლები სვამენ ყველაზე მეტ გამამხნევებელ არომატულ სასმელს. აღმოჩნდა, რომ ამ „საქმეში" ლიდერები ჟურნალისტები და მედიის სხვა თანამშრომლები არიან. გამოკითხვაში 10 ათასი ბრიტანელი მონაწილეობდა, მათგან 85% დღეში, სულ ცოტა, სამ ფინჯან ყავას მიირთმევს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან შარშან ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, გაზეთის რეპორტიორის პროფესია ყველაზე დაუფასებელი აღმოჩნდა დაბალი ანაზღაურებისა და სტრესის მაღალი დონის გამო. საყოველთაო კვლევის შედეგად სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ ჩვენს პლანეტაზე ყავის მოხმარების ყველაზე მაღალი დონე ნიდერლანდებშია (დაახლოებით 2,5 ფინჯანი დღეში), აშშ მხოლოდ მე-2 ადგილზეა. მედიკოსები კი გვაფრთხილებენ: დღის განმავლობაში არ არის სასურველი ოთხ ფინჯანზე მეტი „ღვთაებრივი სითხის" მიღება. თუმცა, გამოკვლევებით დადგენილია ყავის სასარგებლო თვისებებიც: ის აქვეითებს სიმსივნის რამდენიმე ტიპის, ალცჰეიმერის დაავადებისა და მეორე ტიპის დიაბეტის წარმოქმნის რისკს.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	9	7	2	8	6	5	3	4
6	5	4	1	3	9	8	2	7
3	2	8	5	7	4	1	6	9
7	4	3	9	2	8	6	1	5
2	6	1	7	5	3	4	9	8
5	8	9	6	4	1	2	7	3
4	7	2	3	1	5	9	8	6
8	3	6	4	9	2	7	5	1
9	1	5	8	6	7	3	4	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	9	8	7	5	4	6	3	2
6	7	4	3	2	1	8	5	9
3	5	2	6	9	8	4	1	7
5	8	3	2	7	6	1	9	4
9	6	7	4	1	3	5	2	8
4	2	1	9	8	5	3	7	6
2	1	6	5	4	9	7	8	3
8	3	9	1	6	7	2	4	5
7	4	5	8	3	2	9	6	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	6	3	8	7	5	2	4	1
8	2	1	6	9	4	3	7	5
5	7	4	3	2	1	8	9	6
4	1	9	7	6	3	5	2	8
2	5	8	1	4	9	7	6	3
7	3	6	5	8	2	4	1	9
6	4	2	9	5	8	1	3	7
3	9	5	4	1	7	6	8	2
1	8	7	2	3	6	9	5	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	9	4	3	2	8	7	5	6
6	8	7	1	5	4	3	2	9
5	3	2	9	7	6	4	1	8
7	1	9	6	8	5	2	4	3
4	2	3	7	1	9	8	6	5
8	5	6	4	3	2	1	9	7
2	7	8	5	9	1	6	3	4
3	4	5	2	6	7	9	8	1
9	6	1	8	4	3	5	7	2

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	3	8	1	9	7	6	5	4
1	4	9	5	8	6	7	3	2
7	6	5	3	4	2	1	8	9
9	5	7	8	6	1	4	2	3
8	2	6	4	7	3	9	1	5
4	1	3	2	5	9	8	7	6
3	9	4	7	2	8	5	6	1
6	8	2	9	1	5	3	4	7
5	7	1	6	3	4	2	9	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4	9	8	6	1	7	3	5	2
5	1	3	9	8	2	7	6	4
2	7	6	5	4	3	1	9	8
8	6	5	2	3	4	9	1	7
1	4	7	8	9	6	2	3	5
9	3	2	1	7	5	8	4	6
7	5	1	4	2	9	6	8	3
6	2	9	3	5	8	4	7	1
3	8	4	7	6	1	5	2	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	3	9	1	7	2	4	6	5
7	6	5	4	8	9	3	2	1
1	4	2	6	3	5	8	9	7
9	2	8	7	5	4	6	1	3
6	5	1	3	2	8	7	4	9
4	7	3	9	6	1	5	8	2
5	1	7	2	4	6	9	3	8
3	9	4	8	1	7	2	5	6
2	8	6	5	9	3	1	7	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	4	3	5	1	2	9	8	6
2	1	5	8	9	6	4	7	3
9	8	6	7	4	3	5	2	1
5	3	4	6	2	1	8	9	7
6	7	2	9	3	8	1	5	4
8	9	1	4	7	5	6	3	2
4	6	9	3	5	7	2	1	8
3	2	8	1	6	9	7	4	5
1	5	7	2	8	4	3	6	9

მე-10 გვერდი: 1. კამელია; 2. „კოროლა"; 3. მაზუთი; 4. ლანგუსტი; 5. ალიზი; 6. ქოსმენი; 7. ომბუდსმენი; 8. მონა; 9. ნაზუქი; 10. ბრეზენტი; 11. ირბისი; 12. იოანე; 13. მის; 14. აბანოზი; 15. ომარიშარა; 16. ოგიგია; 17. ექო; 18. ლითიუმი; 19. ოდა; 20. იუნონა; 21. სმოგი; 22. ნაია; 23. ოკარინა; 24. დარიოსი; 25. დვრიტა; 26. ელისტა; 27. ამერიგო; 28. ერგი; 29. ინდიგო; 30. სირ; 31. ორდენი; 32. პერიგეა; 33. სვე; 34. ბუცი; 35. დესპანი; 36. ირი; 37. რალი; 38. გივი; 39. არნო; 40. ნაბლა; 41. ლისი; 42. „შინ"; 43. რილა; 44. განგური; 45. ომი; 46. ეკო; 47. აგა; 48. რეა; 49. გლასე; 50. ალ; 51. ვეროკიო; 52. იმიტაცია; 53. ია; 54. სმ; 55. ლამპარი' 56. კანაპე; 57. ალაო; 58. თხა; 59. ვილა; 60. რობუსტი; 61. სრა; 62. მაკე.

მე-12 გვერდი: 1. დოლჩე; 2. კაშნე; 3. დებოში; 4. ლოზანა; 5. ეკალი; 6. კოლიზეუმი; 7. შუნი; 9. ელია; 9. აბაზია; 10. იფიკლე; 11. დრამა; 12. სლენგი; 13. ატრაქციონი; 14. კოალა; 15. შინდი; 16. სირი; 17. ნოსტე; 18. რაფია; 19. „გზა"; 20. გურია; 21. ათენი; 22. ოჰაიო; 23. მოკლე; 24. ალა; 25. სტრაბონი; 26. მარლი; 27. ლჰასა; 28. დონორი; 29. ნილ არმსტრონგი; 30. ონიქია; 31. ქვა; 32. ტრილიონი; 33. ნიკოლო; 34. რიჩმონდი; 35. ვარინკა; 36. იდეა; 37. დელი; 38. რიო; 39. ინსაიდი; 40. იარა; 41. სარმა; 42. ჰობოი; 43. იორიკი; 44. ოსლო; 45. მარად; 46. ჰანოი; 47. ომი; 48. კიი; 49. კორომი; 50. ჩარი; 51. ლინჩი; 52. იბნ; 53. პა-დე-დე; 54. რადარი; 55. სდექ; 56. ბასმა; 57. რაზდანი; 58. „რენო"; 59. პირატი; 60. „ბარნი"; 61. ურო; 62. დიდგორი; 63. გეა; 64. რიდლი; 65. სადკო; 66. ბაროკო; 67. ბამბა; 68. ავი; 69. პა; 70. ესავი; 71. გინეა; 72. შიიზმი; 73. იგლუ; 74. მთაწმინდის; 75. ედგარ; 76. სად; 77. გი; 78. ბენ; 79. ელეგია; 80. იაბო; 81. ბულა; 82. ბაშო; 83. ლომბერი; 84. ბუ; 85. რე; 86. იეტი; 87. იბისი.



1. მძიმე ფსიქიური დაავადება
2. ხის ჩასაბერი საკრავი
3. ქამასოკოს ევროპული სახელწოდება
4.ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე-...
5.საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე
6. არასწორად აღებული სტარტი
7. სისხლ-ძარღვის სანა-თურის დაცობა თრომბით
8. სიმინდის ყვავილედი
9. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
10.ყველაზე მსხვილი სისხ-ლძარღვი
11. ტაფაზე გამომცხვარი პატარა ლავაში
12. თავისუ-ფალი მცველი ფეხბურთში
13. კუნძულო-ვანი ქვეყანა ევროპაში
14.ძვ. რომის ერთ-ერთი იმპერატორი
15.ორმარცვ-ლიანი მუხლი ანტიკურ ლე-ქსთწყობაში
16.ამერიკელი მომღერალი დაიანა ...
17. მეფისწუ-ლი ჯუმბერის აღმზრდელი საბას „სიბ-რძნე სიც-რეისა“-ში
18.პარაზიტი ძწერი, იგივე მკბენარი
19. იგივეა, რაც ბამბა
20. ინგ-ლისელი გიტარისტი კრის ...
21. ნამდვილად არსებული ნივთი
22. წამლის ბურთულა
23.მოტკბო გემოს თეთრი კრისტალები, რომელიც შაქრის შემცვლელად იხმარება
24.სარწყავად გათხრილი პატარა არხი
25. იუდაიზ-მის უზენაესი ღმერთი
26.სიცოცხლეს-თან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი
27. ცხენის ფეხზე და-საკრავი რკინა
28. ციური სხეულის სამოძრაო გზა
29. თბილი დინება ატ-ლანტის ოკეანეში
30. ჰოლივუდის ვარსკვლავი
31. მუსიკალური გამის მეხუთე ინტერვალი
32. V თითი
33. შუამ-დინარეთი
34. აკაკის „გამზრდელ-ის“ პერსონაჟი
35. ძვ. ქარ-თული წონის ერთეული
36.მიმართვა ესპანელი მა-მაკაცისადმი
37. საჰაერო პორტი
38. ირანის ფულის ერთეული
39. (ძვ.) მონღოლეთის სამხ. ლიდერის ტიტული
40. ბალტიის-პირეთის ქვეყანა
41. მუსიკალ-ური გამის IV ნოტი
42. თიხ-ამიწის მეორე სახელწოდება
43. იტალიის ერთ-ერთი ავიაკომპანია
44. ჩინურ-იაპონური შაში
45. საგაზეთო წერილი
46. ზომიერე-ბა ხარჯვაში, მომჭირნეობა
47. ჟორჟ სიმენონის კომისარი ...
48. ხელის გული თითე-ბიანად
49. ქალაქი ლიტვაში
50. (ძვ.) სკანდინავიელი მეომარი
51. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
52. გრძელი თონის პური
53.ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში
54. ბიბლი-ური კიდობნის ამგები
55.მოკლე-ნიჩბიანი სპორტული ნავი
56. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
57. წყალ-საცავი რაჭაში
58.დასტურის გამომხატველი სიტყვა ესპანურში
59. ქალაქი-კურორტი ყირიმში
60.იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
61. აღალ-ბედზე მოქმედება
62.მარიტას სატრფო „ნატვრის ხეში“
63. მე-ტყველების ნაწილი
64. ზედა-პირული, აჩქარებული სუნთქვა
65. ერთი წერტილი კამათელზე
66.ძაღლების სადარაჯო ადგილი ცხ-ვრის ბინასთან
67. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში
68.შეძახილი ცეკვის დროს
69.ნავთობ-კომპანია
70.ბასკური ტერორის-ტული ორგა-ნიზაცია
71. დატოტ-ვილ-რქებიანი ცხოველი
72.ვალის გადახდის უზ-რუნველმყოფი ნივთი
73. სოფელი ნინოწმინდის რაიონში
74. გასეირ-ნება ბავშვის ენაზე
75. იტ-ალიელი კინოკომ-პოზიტორი
76. დიდი ესპანელი ფერმწერი
77.ძროხის „ნობათი“
78.ბანგლადე-შის ვალუტა
79. ბირმის ფულის ერთეული
80. თეატრის კოლექტივი
81. ცირკის მოედანი
82. ხვეწნა, მუდარა ძველ ქართულში
83. პა-ტარძლის თავსაბურავი
84. ცივი იარაღი; საჯიგველი

მღვდელი ხმამაღალი წირვისთვის დააპატიმრეს

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ პასტორს კოლუმბიის შტატიდან ორი კვირით პატიმრობა იმის გამო მიუსაჯა, რომ ის წირვას მაღალ ხმაზე ატარებდა. მღვდელმა ჯონი კლარკმა სასჯელი ეკლესიაში ხმის გამაძლიერებლების გამოყენების გამო მოიხადა. როგორც პრესა წერს, ტაძართან ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ორი წლის განმავლობაში ჩიოდა ხმამაღალი წირვის გამო. ამ დროის განმავლობაში პოლიცია რელიგიურ დაწესებულებაში 50-ჯერ იყო მისული. ადგილობრივების განცხადებით, ხმამაღალი ლაპარაკი ეკლესიიდან დილით ადრე და გვიან საღამოს ისმოდა. ამბობენ, რომ ეკლესიამ რამდენჯერმე გადაიხადა ჯარიმა ქალაქისთვის დადგენილი ხმაურის დონის გადაჭარბებისთვის. ვერ დამიჯერებია, რომ ღვთისსამსახურისთვის აპატიმრებენ. რა იქნება მომავალში? — კითხულობს პასტორის გაოცებული მეუღლე. მისი თქმით, ერთადერთი გამოსავალი შენობისთვის ხმაგაუმტარი კედლების გაკეთება იქნება, მაგრამ საამისო თანხა ეკლესიას არ აქვს.

სუდოკუ

ადვილი

			4			5		2
5							7	
	6	4				8	3	
			3	5			8	
	8						6	
	2			8	6			
	3	8				9	1	
	5							4
9		6			2			

სტანდარტი

4		5	2					
	7		6			2	1	
		2				5		
3			4					
	2	9		7		1	8	
					9			2
		7				8		
	8	6			5		2	
					1	6		7

რთული

			1					4
	7		6				2	
	5					1		
					1	9		8
8		1	2		7	5		3
3		9	5					
		5					7	
	1				5		3	
6					3			

ექსპერტი

		1	6					
6		5		1			8	
3		2			4			5
		4	1	2				
7	2			5			1	4
				9	7	5		
4			9			8		6
	6			4		7		1
					1	2		

რეგულარულია დიაბეტის მკურნალობაში – ინსულინის ინჰალატორი



ორწლიანი კლინიკური ცდების წარმატებით დასრულების შემდეგ დამტკიცებულია დიაბეტის მკურნალობის ახალი მეთოდი ინსულინის ინჰალატორის Afrezza მეშვეობით. ამგვარი გამოყენებისას ინსულინი ძალიან მალე იწყებს მოქმედებას — ის სისხლში 12-15 წუთის შემდეგ ხვდება, რაც დაახლოებით შეესაბამება ინსულინის რეაქციას საკვების მიღებაზე ჯანმრთელ ადამიანებში. კლინიკური ცდებისას, რომელშიც 6 ათასზე მეტი 1 და მე-2 ტიპის დიაბეტიანი მონაწილეობდა, დადგინდა, რომ ინჰალაციისას ჰიპოგლიკემიის განვითარების რისკი ნაკლებია, ვიდრე ინსულინის სწრაფმოქმედი ინექციებისას. შესაძლო გვერდითი ეფექტები — სასუნთქი გზების გაღიზიანებაა, ამიტომ მისი გამოყენება ასთმით დაავადებულებსა და ფილტვების პრობლემების მქონეებს ეკრძალებათ.

საუზმე მოზარდებს დიაბეტისგან იცავს

ბავშვები, რომლებიც საუზმეს არ მიირთმევენ, უფრო ხშირად ავადდებიან დიაბეტით, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ოქსფორდის, გლაზგოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტების სწავლულები. კვლევებისას ისინი 9-10 წლის 4 ათასზე მეტი მოზარდის კვების რეჟიმს ადევნებდნენ თვალს. ვინც არ საუზმობდა, უფრო ხშირად აღენიშნებოდა სისხლში შაქრის მაღალი დონე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რეგულარული საუზმე მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტისგან იცავს, თუმცა, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კვების დროს, არამედ რაციონსაც. საუზმე უჯრედისით მდიდარი პროდუქტისგან უნდა შედგებოდეს — ასეთი კი მარცვლეულის ფაფებია, ამიტომ საუკეთესო საუზმე სწორედ ფაფეულია.

დიაგნოსტიკა თითის პულსაციით

თითის პულსაციით შესაძლებელია იმის დადგენა, დაზიანებულია თუ არა ადამიანის გული. დიაგნოსტიკის ეს უჩვეულო მეთოდი აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტის მეცნიერმა ჰარი პირსმა შეიმუშავა. მისი გაცხადებით, ამ მეთოდით შესაძლებელია დადგინდეს, რამდენად მტკიცეა აორტის კედლები. ჩვეულებრივ, ელასტიურობა განისაზღვრება საძილე არტერიის პულსის მიხედვით. მაგრამ უფრო მარტივია, ეს თითის პულსაციის მიხედვით გავარკვიოთ. აორტაში პულსის ტალღის გავრცელების სისწრაფეს სპეციალური გადამცემი ზომავს. მიღებულ ცნობებს ემატება ინფორმაცია სხეულის მასის ინდექსისა და პაციენტის ასაკის შესახებ. ეს მონაცემები კი მთლიანობაში, შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, რა მდგომარეობაშია აორტა.

ფილტვის კიბოს ამოსუნთქვით დაადგენენ

მკვლევარებმა ფოჯას უნივერსიტეტიდან პაციენტები გამოიკვლიეს, რომელთაც, სავარაუდოდ, ფილტვის კიბო ჰქონდათ, რათა ამონასუნთქი ჰაერის ტემპერატურით დაესვათ ეს რთული დიაგნოზი. გაირკვა, რომ იტალიელი სპეციალისტები სწორი მიმართულებით ფიქრობდნენ. გამოკვლევაში 82 პაციენტი მონაწილეობდა, რომლებზეც ამ დაავადებას ეჭვობდნენ. თითოეულმა გაიარა სტანდარტული ონკოლოგიური და სუნთქვითი ტესტი. 42-დან 40 პაციენტში დიაგნოზი დადასტურდა. სუნთქვითმა ტესტმა აჩვენა, რომ დაავადებულთა ამონასუნთქი ჰაერის ტემპერატურა რამდენამდე მაღალი იყო. ჯერჯერობით ძნელია ამ მეთოდის ობიექტურობაზე საუბარი, რადგან უამრავი კვლევაა ჩასატარებელი, ვიდრე „სუნთქვითი ტესტი“ კლინიკურ პრაქტიკაში დაინერგება.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სკანდინავიური დიეტა საუკეთესოა

სწავლულებმა კოპენჰაგენის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ სკანდინავიური დიეტა სამჯერ მეტი ზედმეტი კილოგრამის მოკლების საშუალებას იძლევა, ვიდრე კვების სხვა რეჟიმი. გარდა ამისა, კარგი პროფილაქტიკაა ინფარქტისა და ინსულტის წინააღმდეგ. ათწლეულების განმავლობაში კარდიოლოგები და დიეტოლოგები ხმელთაშუა ზღვის დიეტას ანიჭებდნენ უპირატესობას და მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევდნენ. ამტკიცებდნენ, რომ სწორედ კვების ეს რეჟიმი უზრუნველყოფს ადამიანის დღეგრძელობას, რადგან ბევრი დაავადებისგან იცავს. ამიტომაც რაციონი, რომელიც ზეითუნის ზეთის, ბოსტნეულის, ხილისა და ზღვის პროდუქტისგან შედგებოდა, სამაგალითო იყო. თუმცა, დანიელმა მეცნიერებმა უფრო ეფექტური დიეტა აღმოაჩინეს, რომელიც ახდუნებს და გულსისხლძარღვთა დაავადებებისგანაც იცავს. დაადგინეს, რომ სკანდინავიური სამზარეულო, რომელიც გარეულ კენკრას, თევზს, სხვადასხვა სახის მწვანილს შეიცავს, საუკეთესოა. რაციონი გაჯერებულია ხილით, ბოსტნეულით, კარტოფილით, ყველით, უცხიმო რძით, სოკოთი, ნიგვზით, მარცვლეულით, შინაური ან გარეული ფრინველის ხორცითა და ზღვის წყალმცენარეებით. კვების ამ რეჟიმისას წითელი ხორცის მინიმალური რაოდენობა გამოიყენება, რაც ცხიმების დონეს ამცირებს. გამოკვლევისას, რომელშიც ჭარბწონიანი 181 ადამიანი მონაწილეობდა, სკანდინავიური დიეტით სამჯერ მეტი დაიკლეს, ვიდრე ტრადიციული რაციონით.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:
ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

1.ოდისევსის შვილის, ტელემაქეს აღმზრდელი
2. ალასკის აბორიგენი
3. ძვირფასი ქვა
4. ავტომატური ელექტროხელსაწყო
5.იგივეა, რაც მუცელი
6.(ძვ.) ავი სული, მაცდური
7. მხამიანი გველი
8. „სამკურნალო“ ქვა
9.სიმღერა მუსიკის თანხლების გარეშე
10. იშვიათი, ერთადერთი ეგზემპლარი
11. ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე
12. ღმერთთა დედა ვედიზმში
13. დასარტყამ ინსტრუმ. დამკვრელი
14.მსხვილ ფეოდალზე დამოკიდ. მემამულე
15.ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
16. პატარა ვიდეორგოლი
17. პოეტის შთაგონების წყარო
18. სამაგიდო თამაში
19. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
20. მხარე, მიდამო
21.რუსული დიდი საღღესასწაულო პური
22. უდიდესი კურილიის კუნძულებში
23. ინგლისური სქელი ლუდი
24. სოფელი მესტიის რაიონში
25.დახრილი კოშკით ცნობილი ქალაქი
26. პარფიუმერული სითხე
27. მთავარი საწყობი
28.სურამის ციხეში ჩაყოლებული ჭაბუკი
29. ნედლეულად ვარგისი ნივთები
30. იგივეა, რაც კონტინენტი
31. მარიტას ბებია
32. ზღვის სანაპირო ზოლი
33.ჰერაკლეს მიერ დამარცხებული გმირი
34. იგივეა, რაც სათბური
35. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
36. ყველაფრის ხელაღებით უარყოფა
37. ინგლისელი ასტრონომი, „პერიოდული“ კომეტის აღმომჩენი
38. გემის მზარეული
39. უძველესი ქალაქი შუამდინარეთში
40. ქართული ხალხური სიმღერა
41. სოფელი ონის რაიონში
42. „გმირთა ვარამის“ ავტორი
43.სამი მუსიკოსის ანსამბლი
44. „სუნთქვა“ - ლათინურ ენაზე
45. საფრანგეთის ძველებური ხურდა ფული
46. ორი წერტილი კამათელზე
47. განთიადის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
48. წამლის ბურთულა
49. სასვენი ნიშანი
50. ამერიკელი მომღერალი ჯინ ...
51. ქართული ხალხური ზღაპარი
52. სამი წერტილი კამათელზე
53. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
54. პატარა რადიოსადგური
55. იგივეა, რაც ჯიქანი
56. ქიმიური ელემენტი, მეტალი
57. (ძვ.) დამკვრელი, მომღერალი, მოცეკვავე
58. ფრანგული ავტომარკა

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.